[illegible]

№ 194 1877—1905 № 194

სამშაბათი, 31 ოქტომბერი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

სამშაბათი, 31 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

№ 4 ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 4

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, 1905 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

პირველი ორი ახალი პიესა

I

აღსდგა მკვდრეთით

ისტ. დრამა 3 მოქმ, თხზ- ბ—ლისა

II

საიდუმლო

ვოდევილი 1 მოქმ. ტირონოვის, თარგ. დ. აწყურელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნეზიერიძე, ნ. ჩხეიძე.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, სეიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ე. ურუშაძე, ი. ქივიძე, ჯაყელი, მუმლაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი დაკლებულია.

მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ახალი ძალა“, „ხელთათმანი“ და „თანაბარი სასპეტაკე“.

რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, სამშაბათს 1 ნოემბერს წარმოდგენილი იქმნება

ნერონი

ოპერა 4 მოქმ. და 6 სურ., მუსიკა რუბენშტეინისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი პროკუდინა, ნოვოსპასსკაია, კარრი, კარპოვა. ბ-ნნი დონსკოი, კარელინი, სოკოლსკი, ტომაშევიჩი, ეოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ხვალ, ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, ახალ ოპერა „ზაზას“ უმთავრეს რეპეტიციის გამო წარმოდგენა არ იქნება.

შაბათს, 5 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება 1-დად ახალი ოპერა

ზ ა ზ ა

ოპერა ლეონკავალოსი.

ბილეთები იყიდება.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოვტი.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგნულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.

(20—10)

პირველი კერძო საავადმყოფო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ი. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ი:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა', გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელეიმანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

[illegible] გა[illegible]ონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 'ადა საღამოს 5—7 საათ.

მთავრობა და ეროვნული თანასწორობა

საგულისხმოა დეპეშით გადმოცემული მთავრობის უკანასკნელი განცხადება, რომელიც შეეხება პოლონეთის ავტონომიას და ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია მოყვანილი. მთავრობა ჯერ თავს იმართლებს, ეპირებდი პოლონეთის შესახებ წინანდელ უსამართლობის მოსპობას, რამოდენიმე კანონი საამისოდ უკვე გამოვეცით და ზოგიერთების შემოღება კიდევ განზრახული მქონდაო... მაგრამ პოლონელებმა ეს არ იკმარეს, დაივიწყეს წარსულის გაკვეთილი და მოინდომეს სახელმწიფოსაგან განცალკევება,—ითხოვენ პოლონეთის სრულს ავტონომიასო და ამნაირად პოლონელები აპირებენ ნიადაგის მომზადებას მომავალში პოლონეთის ცალკე დამოუკიდებულ სახელმწიფოდ გამოსაცხადებლადო.

მთავრობა აცხადებს, პოლონელები თავის განზრახვის ფაქტიურად განხორციელებასაც შეუდგნენო,—შემოაქვთ პოლონური ენა სხვადასხვა დაწესებულებაში და სიცოცხლეს უსპობენ იმათ, ვინც მათ მისწრაფებას წინ ეღობებაო.

ამიტომ პოლონეთში მთავრობა სპობს 6 აგვისტოს და 17 ოქტომბრის მანიფესტების ძალას, და შემოაქვს სამხედრო წესები...

საგულისხმოა და საკვირველიც!.. როგორც ფინლიანდიის ავტონომია ფინლიანდიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ჰქმნის, ისე პოლონეთს არც რუსეთის რომელიმე სხვა ნაწილის ავტონომია მას არ ჩამოაშორებდა რუსეთს და ამ სახელმწიფოს მთლიანობას არ დაარღვევდა.

პოლონელები ითხოვდნენ, რომ მათ პოლონურ ენაზე შეეძლოთ მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება ადგილობრივ, როგორც შიდა გუბერნიებში მცხოვრებლებს შეუძლია თავის დედაენაზე აწარმოვონ თავისი საქმე.

პოლონელები ითხოვდნენ, რომ მოისპოს ერთ ეროვნების მეორეზე გაბატონება, რომ ეროვნული თანასწორობა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი არ დარჩეს, არამედ ხორცშესხმული შეიქმნას. პოლონელებს უნდოდათ, რომ მათ ადგილობრივ საქმეების გადაწყვეტაში არ დასჭირებოდათ სრულიად რუსეთის პარლამენტში უმრავლესობის მომხრეობა, რომ ადგილობრივი საქმე მხოლოდ ადგილობრივ ხალხს ეკითხებოდეს.

და ეს მოთხოვნა მთავრობამ ეხლა სეპარატიზმის სახელით მონათლა და ეროვნულ თანასწორობის მოტრფიალე ხალხს ის მცირეოდენი, საეჭვო უფლებებიც მოუსპო. რომელიც 6 აგვისტოს და 17 ოქტომბერს მიანიჭა. ეს უფლებები გამოცხადების მეორე დღესვე დაგმნო ხალხისთვის, მოუსპო და სამაგიეროდ შემოიღო იქ სამხედრო წესები...

საგულისხმოა... გაბატონებული წრეები თავის ხნეს არ იშლიან და უნდათ „დაიმორჩილონ“ ყველა ის ელემენტები, რომელიც კი მორჩილად ქედს არ იხრის მათ კუდმოკვეცილ წყალობის წინაშე...

ყველგან იგივეა ჩვენსა, პოლონეთსა და რუსეთის სხვადასხვა ნაწილებშიაც. მთავრობამ ხალხს მიანიჭა „თავისუფლება“, მაგრამ როდესაც ხალხმა ამ თავისუფლების გამოყენება დაიწყო და თავისი საკუთარი სურვილები გამოაცხადა და მოთხოვნილებანი წამოაყენა,—მმართველმა წრეებმა ჯარით, ხალხის დახოცვით, სამხედრო წესების შემოღებით მოინდომეს ხალხში მოძრაობის გასრესა რომ შემდეგ დამარცხებულ „შინაურ მტერს“ ზავი „წყალობად“ მიაღებინონ...

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ადგილი არ უნდა ჰქონოდა სამხედრო წესებს... მაგრამ ეს წესები კიდევ ახლად შემოიღეს მოსკოვში, შემოიღეს ქუთაისის გუბერნიაში, შემოიღეს პოლონეთშიაც...

მაგრამ რეაქციის მეთაურები სამხედრო წესების შემოღებას არ სჯერდებიან და ახლა პოლონეთში სპობენ 6 აგვისტოს და 17 ოქტომბერს გამოცხადებულ უფლებებსაც, იმ უფლებებს, რომელნიც ხალხმა ბრძოლით, სისხლის ღვრითა და მრავალის მსხვერპლით მოიპოვა.

დღეს ამ მანიფესტების ძალა პოლონეთში მოსპეს, ხვალ სხვაგანაც მოსპობენ... რეაქცია ძლიერდება, ხორცს ისხამს, გვიახლოვდება... რეაქციის მეთაურები [illegible] გასხალხს [illegible] აცხადებენ,—დამიჩოქე და საჩუქრად რამე წვრილმან წყალობას გავიმეტებო...

ამ რეაქციის ნიშნები მთავრობის უკანასკნელ დროის მოქმედებას აშკარად ეტყობა და დიდი სიფრთხილე სჭირია ხალხს, რომ ერთხელვე ბრძოლით მოპოვებულ უფლებები აღარ დაჰკარგოს.

რისი იმედით უნდა იყოს ახლანდელ მმართველ წრეების შემხედვარე რუსეთში მცხოვრები ყოველი ეროვნება, ამას აშკარად მოწმობს მოპყრობა პოლონელებთან... ეს მოპყრობა რეაქციის პირველი აშკარა ნაბიჯია და ცხადად გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა არა-რუს ეროვნების სწორ უფლებიანობა რუსეთში ფაქტი იქნება და არა ფიქცია.

სტუმარი.

◆

გურიის შესახებ.

დღეს სიტყვა, მიტინგი, კრება კანონიერია და იმავე დროს უკანონოა. ხალხის ცნობიერებაში, დიდი ხანია, კანონიერია მიტინგების, კრებების, სიტყვის თავისუფლება; ხალხის ცნობიერებით, დიდი ხანია კანონიერია აზრი, აზროვნება, აზრის გამოთქმა, მოძრაობა, სიცოცხლე, თავისუფლება! მაგრამ ესე არ ფიქრობს ძველ რეჟიმის ბნელი ძალები. 17 ოქტომბრიდან ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება; 17 ოქტომბრიდანვე თავისუფლება აკრძალულია; თავისუფლება არსებობს და არც არსებობს! 17 ოქტომბრიდან ჩვენ მოვიპოვეთ ადამიანისა და მოქალაქის მცირეოდენი ელემენტარიული უფლებანი; 17 ოქტომბრიდანვე, ისე, როგორც წინად, უფრო უარესად, ვიდრე წინად, ჩვენს სიკვდილ-სიცოცხლეს განაგებენ კაზაკები, დრაგუნები, სალდათები, ჯარები. ძველი რეჟიმის მძიმე უღელი დაიმტვრა, მაგრამ მისგან დაჭრილ-დასერილი ჩვენი ბეჭები ჯერ კიდევ არ გამთელებულა. ძველი რეჟიმი დაინგრა, მაგრამ მისი ნაშთები და ნანგრევები მწვავე ჭრილობებით გვისერავს ხელ-ფეხს. ჩვენ ისევ გვიხდება კლდეღრეებსა და ვიწრო ბილიკებზე სიარული, არსად ვხედავთ ფართოდ გადაშლილ გზა-ტკეცილებსა, არსადა ვხედავთ ფართე ასპარეზს გავშალ გავქამოთ შავ-ბნელის დროით დახუთული ჩვენი კუნთები; არსადა ვხედავთ ფართო სივრცესა განვავითაროთ ჩვენი ძალ-ღონე; ჰაერი ისევ გვეცოტავება; ჰაერი ისევ მოწამლულია; თავისუფლების პირველი სხივი თითქოს ვერ აპობს წყვდიადის სისქეს. რეაქცია კი, სასიკვდილოდ ლახვარ-დასმული, გარშემო იკრებს ბნელეთის ძალებს და, იარაღით დარაზმულები, ჩვენკენ ილტვიან, რომ გამოგვტაცონ პირველი სხივიც.

დიაღ, 17 ოქტომბრიდან ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ 17 ოქტომბრიდანვე თავისუფლება სისხლით გაბასრული დაიარება იმპერიის ყველა კუთხეში. 17 ოქტომბერს შემდეგ იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში საზარელი სისხლის ღვრაა; 17 ოქტომბერს შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე საზარელი, ჯოჯოხეთური სისხლის ღვრა მოხდა; 17 ოქტომბერს შემდეგ, ჯერ კიდევ გვაღრჩობს ეგზეკუცია; 17 ოქტომბერს შემდეგ გურია განსაცდელშია!

ძველ რეჟიმის ძალა, ყარაულის სამოსელში გამოხვეული, სასიკვდილო ლოდად გადასწოლია ჩვენი [illegible] და სწორუპოვარ კუთხეს. კონტრ-რევოლუციის ძალები გარს შემორტყმია [illegible] ბით: აღარ დასტოვონ ქვა-ქვაზე, აღარ დასტოვონ სიცოცხლის ნიშან-წყალი, აღარ დაანახონ მზის სხივი არც ერთ გურულს. მკვირცხლი და ენერგიული სიცოცხლე, გაალმასებულ გრძნობა-გონების მქონი, საარაკო ვაჟკაცობა-გმირობით აღსავსე გურია სისხლით არის დღეს გაბასრული. კაზაკები, ჯარები, თოფ-ზარბაზნები განადგურებას უპირობენ სოოცნებო მარგალიტს. სასიკვდილო ლახვარსა სცემენ ბუნების მშვენებას. პატარა გურია მარტო სდგას, სასიკვდილოდ უნდათ გასწირონ იგი; და რა ჩაიდინა მან საამისო? მხოლოდ ის, რომ დაჰგმო მონობა და შეიყვარა თავისუფლება. მან პირველმა აისხა საომარი აბჯარი და პირველმა დაჰკივლა მედგრად ქვეყანას: სიკვდილი ან თავისუფლება!

გურულებმა „ზურგი აქციეს ძველ ადათ-წესებს-ჩამოიბერტყეს ფერხთ მისი მტვერი“; იმათ უარჰყვეს ძველი რეჟიმი, იმისი ყველა დაწესებულება და გაამეფეს თავიანთ შორის თვისი კანონი და სამართალი; რაკი იგემეს ახალ აზრების და ერთობისა მნიშვნელობანი, უხვად ჰმართავდნენ კრებებს, მიტინგებს და ჰქადაგობდნენ ახალ წესებსა. და, აი, ამისათვის ჯერ ისევ წარსულ გაზაფხულს მოიწადინეს გურიის განადგურება, მაგრამ, შემთხვევით, ისევ შეჩერდნენ. [illegible] შემთხვევით უმაღლესს ადმინისტრაციაში აღმოჩნდა ასეთი კაცი, როგორიც არის სულთან კრიმ-გირეი. ამან არჩია, ვიდრე სასტიკ განზრახულებას სისრულეში მოიყვანდნენ, ჯერ გაეგოთ, რაში იყო საქმე, რას თხოულობდა გურია; გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გურია თხოულობდა სწორედ იმას, რასაც ევლტოდა და თხოულობდა მთელი მოწინავე, პროგრესიული რუსეთის იმპერია; მაშასადამე, გურიის განადგურება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი იმპერია სისხლის ღვარებად, ძვლების ალდამად გადაიქცეოდა. იმან არჩია დაეცადნა, ვიდრე იმპერიის განმათავისუფლებელი მოძრაობა გაირკვეოდა. ვიდრე ეს მოძრაობა ცხოვრებაში ერთ რაიმე დასკვნას აღმოაჩენდა.

ამნაირად, გურიას ერთხანად ერგო სიცოცხლე, და მთელი ეს დრო გაცხარებული ემზადებოდა.

როცა წარსულ კვირეებში მოსკოვ-პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა მოწინავე რუსეთის გადაუწყვეტია‚საერთო პოლიტიკური გაფიცვაო, მთელი გურია, როგორც ერთი კაცი, ერთის სულით გადანასკული, ერთი გრძნობით, ერთი აზრით გამსჭვალული, მყისვე გაიფიცა.

ეხლა კი რეაქციამ დრო მარჯვედა სცნო განზრახულების ასასრულებლად. გაგზავნილია კაზაკები, ჯარები, არტილერია. ცეცხლსა და მახვილს უნდა მისცენ ჩვენი ქვეყნის წალკოტი კუთხე!

მტერი მრავალია. პატარა გურია მარტო სდგას!

მოქალაქენო! ვინ არის გურია? ვინა ვართ ჩვენ? გურია იბრძვის თავისუფლებისათვის, გურია იბრძვის ადამიანობისათვის, და თუ ადამიანობა ჩვენც გვესმის და ჩვენც ვაფასებთ თავისუფლებას, გურიის ჭირი, გურიის ლხენა, ჩვენი ჭირი და ჩვენი ლხენაა, გურიის საქმე ჩვენი საქმეა, გურიის სიკვდილი და სიცოცხლე—ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლეა! ნუ თუ გულგრილად დავუწყებთ ცქერას, თუ როგორ გასრესენ ადამიანობისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლ მოწინავე რაზმს—გურიას?! არა და არა!

მაშ, მეიდროდ შემოვკრბეთ და გავუწოდოთ მეგობრის ხელი ჩვენს ძმას—გურიას! რუსეთის იმპერია, რომელიც კი მგრძნობელობს, ფიქრობს, აზროვნობს და ებრძვის რეაქციას, მთელი ეს იმპერია ჩვენთან არის!

ისტორიამ ჯერ არ იცის ისეთი ძალა, რომ შეიძლებოდეს ამგვარ ერთსულობით ანთებულ რევოლუციონურ ცეცხლის ჩაქრობა! გამარჯვება ჩვენია!

დადგა ჟამი, მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მთელი ენერგია ჩვენ, მედგარ საქმიანობა მოქმედებისათვის. მოქმედების საგანია ხალხის მიერ მოპოვებულ და მანიფესტითაც აღიარებულ უფლებათა განმტკიცება და გაფართოვება, რომ ხალხი იყვეს თავისი თავის ბატონ-პატრონი, თავის ბედ-ბედის გამომჭედი და გადამწყვეტი.

ვლ. დარჩიაშვილი.

ნამესტნიკის განკარგულება გურიის შესახებ

ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის მმართველმა ბ ნმა ალ. [illegible] აუწყა მთელს ქვეყანას,—გურიის ამბები გადამეტერებულიაო და ადმინისტრაციის არავითარ რეპრესიულ ღონისძიებისა [illegible] ნიო ადმინისტრაციის [illegible] ამას აცხადებს საგუბერნატორო ცია ლური კაცი, და ჩვენც გა[illegible]არდა და ვფიქრობდით, რომ კავკასიის უმ[illegible] მთავრობა ამ განცხადების შემდეგ რეპრე[illegible]ულ ზომებს აღარ მიიღებდა გურიის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ მოლოდინს არ ამართლებს ნამესტნიკის უკანასკნელი ოფიციალური ბრძანება, რომელიც ჩვენ აქვე სიტყვა-სიტყვით მოგვყავს.

„ძლიერ საშურო.

ბრძანება კავკასიის სამხედრო ოლქს, № 299.

28 ოქტომბერი 1905 წ.—ქ. ტფილისში.

რადგანაც არეულობამ იფეთქა ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის მხრის მცხოვრებთა შორის, განსაკუთრებით კი გურიაში, სადაც აღარ ემორჩილება ხალხი მთავრობის მოხელეებს, შეიარაღებულნი თავს ესხმიან ჯარებს, ანგრევენ რკინის გზასა და მთავრობის დაწესებულებათ, გიბრძანებთ შეადგინოთ განსაკუთრებული საექსპედიციო—რიონის რაზმი—ზემოხსენებულ აჯანყებულ მცხოვრებთა დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად.

ამ რაზმში ჩაირიცხოს [illegible] ოლქის [illegible] ჯარისა:

1) სამი ბატალიონი ერევნის მე-13 ლეიბ-გრენადერთა პოლკისა;

2) სამი ბატალიონი მე-14 გრენადერთა გრუზინსკი პოლკისა;

3) ყუბანის კაზაკთა ჯარების მე-2 პლასტუნის ბატალიონი;

4) მე-33 ქვეითა დივიზიის ტყვის-მფრქვეველთა როტა;

5) ოთხი ასეული პოლტავის მე-2 კაზაკთა პოლკისა;

არტილერიისა:

6) სამთო ბატარეია კავკასიის მსროლელთა არტილერიის დივიზიონისა;

7) თერგის 1 ლ კაზაკთა პოლკის ბატარეია;

8) ერთი ბატარეია მე-33 საარტილერიო ბრიგადისა, რომელიც დაბანაკებულია დ. ახალ-სენაკში;

საინჟინერო ჯარებისა:

9) ერთი როტა საპიორებისა და ერთი სატელეგრაფო როტა კავკასიის საპიორთა ბრიგადის ბატალიონებისა, რომელსაც დანიშნავს ამ ბრიგადის უფროსი;

10) ჯარის სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგენილი კავკასიის სარკინის-გზო როტა;

მომხმარე ჯარები:

11) ერთი ვზოდი ტეირთის მზიდავ ბატალიონისა (15 ბუხრებიანი პოვოზკა).

აღნიშნულ რაზმის უფროსად ვნიშნავ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩარიცხულს გენერალ-მაიორს **ალიხანოვ-ავარსკის**, რომელსაც ვანიჭებ უფლება-უპირატესობას განცალკევებით მომქმედ დივიზიის უფროსისას.

გენერალ-მაიორს ალიხანოვს ვუბრძანებ შეადგინოს შტაბი ხსენებულ რაზმისა, და ამ შტაბის უფროსად ვნიშნავ მე-65 ქვეითა სარეზერვო ბრიგადის სამმართველოში ჩარიცხულს შტაბ-აფიცერს, გენერალურ შტაბის პოდპოლკოვნიკს **ბერგს**.

რაზმის ადიუტანტად ვნიშნავ ერევნის ლეიბ-გრენედერთა მე-13 პოლკის კაპიტანს **სილაევს**, ხოლო რაზმის ინტენდანტად—მე-15 გრენადერთა ტფილისის პოლკის კაპიტანს **ბოსტაშვილს**.

რიონის რაზმის უფროსის განკარგულებაში ვნიშნავ ჩემის თანაშემწის, გენ.-ლეიტენანტ **მალამას** ადიუტანტს, პორუჩიკს **სტაროსელსკის**.

კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსს ვუბრძანებ, ახლავე იზრუნოს გადამზიდავ ბარგისა და ტყვია-წამლის საკმაო საწყობის მომზადება-მოწყობაზე, დანიშნოს ამისთვის საჭირო რიცხვი მოხელეთა და ჩააბაროს მისი გამგეობა ამ მოხელეთ.

საოლქო ინტენდანტს ვუბრძანებ, ახლავე იზრუნოს და მოუმზადოს რიონის რაზმს საგზალი და სამყოფი სურსათ-სანოვაგე, და, თუ საჭიროება მოითხოვს, უშოვნოს და მოუმზადოს ხორცი, რისთვისაც საწყობი უნდა მოაწყოს იმ ადგილას, სადაც ამ რაზმის უფროსი უჩვენებს, ხოლო ამ საწყობის გამგებლობისთვის დანიშნოს განსაკუთრებული მოხელე საოლქო საინტენდანტო გამგეობიდან.

გარდა ამისა, ახლავე იზრუნოს და მოუმზადოს ამ რაზმს სამყოფი თბილი ფარაჯები, ხოლო თუ ფარაჯები არ იშოვება, მაშინ მოუმზადოს თბილი ქეჩები.

საოლქო სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორს ვუბრძანებ, ახლავე იზრუნოს ამ რაზმისთვის საჭირო სასანიტარო ნაწილის მოსაწყობად.

სამოსამართლო საქმეთა ჩქარა გასარჩევად, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით, რაზმთან უნდა შესდგეს დროებითი სამხედრო-საველე სასამართლო.

ამ რაზმის შესადგენად და მოსამზადებელ ადგილად ინიშნება სოფელი სამტრედია.

ყველა ამ ზემოხსენებულ ჯართა ნაწილებს ვუბრძანებ, მუსიკის დაკვრით, რომელსაც კი მუსიკა აქვს, სრულის საბრძოლველის წეს-რიგითა და დადგენილის საბრძოლველის კომპლექტით გაემართოს დანიშნულ ადგილას.

რიონის რაზმს ვუბრძანებ შემდეგ საქმეთა ასრულებას:

1) მოსპოს და გაანადგუროს აჯანყებული ჯგუფები, დააპატიმროს მოთავენი და მეთაურნი ამ აჯანყებისა და შიგ მყოფნი პოლკებიდან გაქცეული ჯარის კაცები, და მოსთხოვოს მცხოვრებთ ყველა ამათი გაცემა და რაზმისთვის ჩაბარება; თუ ვინიცობაა უფროსმა შეამჩნია, რომ მცხოვრებნი არ აძლევენ რაზმს და ჰმალავენ ხსენებულ დამნაშავეთ, მაშინ იმ სო[illegible] თუ ვინმე დახ- ჩააყენოს [illegible] აჯანყებულთ და ხელს შეუწყობს დამნაშავეთა დამალვას, ასეთები სასტიკად უნდა დასაჯოს რაზმის უფროსმა;

2) აღადგინოს სრული წესიერება და მთავრობის მოხელეთა და დაწესებულებათა უფლება როგორც ოზურგეთის მაზრაში, აგრეთვე ყველგან, სადაც კი წესიერება დარღვეულია, და

3) უზრუნველ-ჰყოს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა სამხედრო ბეგარის მოხდა.

გარდა იმ ჯარების ნაწილებისა, რომლისგანაც უნდა შესდგეს რიონის საექსპედიციო რაზმი, გენ.-მაიორს ალიხანოვ-ავარსკის დაექვემდებარებიან: ა) ქუთაისის გუბერნიაში მყოფი რკინის-გზის დამცველი ჯარები და რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ დაბინავებული ჯარები, და ბ) ჯარების ის ნაწილები, რომელნიც ამჟამად დაბანაკებულნი არიან ქუთაისის გუბერნიის საზღვარში, რკინის გზის ლიანდაგიდან ჩრდილოეთისაკენ—ყვირილასა, რიონსა, სამტრედიისა და ფოთში.

[illegible]ხადებ რა ამას, წინადადებას ვიძლევი და[illegible] რულებული. [illegible] დაუყოვნებლივ იქმნას შეს-

ხელს აწერს: კავკასიის სამხედ[illegible]რების მთავარ-სარდალი, გენერალ-ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი**.

თავისუფალი მოქალაქე.

კავკასიის ადგილობრივი დამფუძნებელი კრება.

არა გვგონია როდისმე-და დადგეს ისეთი ძლევამოსილი და სათანადო დრო კავკასიის მკვიდრთა შეერთებისათვის მოსაწოდებლად, როგორიც არის დღევანდელი დღე, დღე ჩვენის მოქალაქობრივის და პოლიტიკურის აღორძინებისა. თვით გონიერება და დღევანდელი პოლიტიკური მომენტი გვიკარნახებენ ამ მოწოდებას, გვიკარნახებენ, რომ ერთის წუთითაც არ დავუმორჩილოთ ჩვენი გონება გულის გამგმირ მწუხარებასა ანუ გამაბრუებელ სიხარულს.

საკვირველი არ არის, რომ ჯერედ გაუციებელნი სამარენი თავისუფლებისათვის მებრძოლთა და ჩვენ წინ დანთხეული სისხლი უმანკოთა გულს გვიწუხებენ, გრძნობას გვიათკეცებენ, მაგრამ თვით საქმე ამ მებრძოლთა გვთხოვს, რომ გონება მოვიკრიბოთ და სრულის სიდინჯით შევუდგეთ პოლიტიკურად და მოქალაქობრივად აღორძინების წმინდა და დიდებულ საქმის ასრულებას.

უდროოდ და წარმოუდგენელის ვერაგობით დახოცილ მებრძოლთა სამარეებზე ჯერჯერობით დავაწეროთ, რომ მათი ხსოვნა საშვილიშვილოდ გადაეცემა, ისე როგორც ზიზღი მათის მკვლელებისა,—დღეს კი გავითვალისწინოთ, რომ თუმცა გუშინდელი მონები დღეს განთავისუფლდით, თუმცა გუშინდელმა უტყვებმა დღეს ენა ამოვიდგით და შეგვიძლიან გაეიხაროთ სულით და გულით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდი საქმე ხალხთა განთავისუფლებისა, მათის აღორძინებისა ნამდვილად მარტოოდენ დღეიდან იწყება.

ახლა ისეთი პოლიტიკური მომენტი დადგა, რომ აუცილებლად საჭიროა სხვადასხვა ეროვნებათა შეერთება და შეერთებულის ძალით საერთო ინტერესების დაცვა. კავკასიის ერები უნდა შეერთდნენ და შეკავშირდნენ, მაგრამ როგორ და ან რა ნიადაგზე?

ჩვენის აზრით, წავიდა ის დრო, როდესაც შეერთება შეგვეძლო მომაკვდავ რეჟიმთან საბრძოლველად, ვინაიდან ეს რეჟიმი უკვე დაინგრა და მთელს რუსეთში ახალი პოლიტიკური ცხოვრება იწყება. და, აი, არა-რუს ეროვნებათ ახლა მართებთ დიდი სიფრთხილე, რომ განახლებულ რუსეთში მათი ეროვნული უფლებები არ იქმნას დაჩაგრული. კავკასიის ერებსაც გვაქვს ახლა ერთი ნიადაგი შესაერთებლად. ეს ნიადაგი აღინიშნება სამის სიტყვით: „დამფუძნებელი კრება კავკასიისათვის“. რუსეთის ყველა პოლიტიკურ პარტიათა ლოზუნგად გამხდარა დამფუძნებელი კრება, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და საიდუმლო კენჭის ყრით მოწვეული. დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული, იგი კრება წინააღმდეგი არ უნდა იყოს ამგვარივე კრებისა ჩვენთვისაც, ვინაიდან მხოლოდ ამგვარ კრებაში გამოიხატება სავსებით და არსებითი საჭიროებანი ჩვენი განაპირა ქვეყნისა.

საანბანო ჭეშმარიტებად ითვლება, ის გარემოება რომ უფლებას ჰპოვებს ხოლმე ის, ვინც ეძებს, და რადგანაც რუსეთის პოლიტიკური პარტიები სავსებით არ არიან მოწადინებული და არც გულდასმით ეპირებიან მოგვცენ ის, რაც სხვა განაპირა ქვეყნებისათვის უკვე გადაწყვეტილი აქვთ, ამიტომ ჩვენ, კავკასიის ერები, უნდა შევკავშირდეთ და ხმამაღლა და გაბედვით მოვითხოვოთ ჩვენის პოლიტიკურის იდეალის განხორციელება,—ავტონომიური თვითმართველობა.

იმ უფლებრივმა წყობილებამ, რომელიც ახლა რუსეთში მყარდება, უნდა აღიაროს პრინციპი დეცენტრალიზაციისა, რომელიც საზოგადოდ დიდსა და სხვადასხვა ეროვნებათაგან შემდგარ სახელმწიფოში საუკეთესო პრინციპია ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად, და მოგვცეს კავკასიის ერებს თვითარსებობა ფედერატიულ ნიადაგზე. საჭიროა ამიტომ მოხდეს დამფუძნებელი კრება კავკასიაში. ეს კრება, ერთის მხრით, გამოარკვევს, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს კავკასიას იმპერიასთან, ხოლო, მეორე მხრით, გამოარკვევს, თუ როგორ უნდა დაუკავშირდნენ აქაური ეროვნებანი ერთმანეთს ფედერატიულად. ისტორიული გარემოება გვიკარნახებს, ახლავე მოვითხოვოთ ჩვენ დამფუძნებელი კრება კავკასიისათვის, თორემ შემდეგში უფრო ძნელი იქმნება, ვინაიდან [illegible]ბის წევრთა უმრავლესობა უეჭველად წინააღმდეგი იქმნება თვით გამორკვევის პრინციპის განხორციელებისა კავკასიაში. რომ ეს მოსაზრება მართალია, ამას ერთად გვიმტკიცებს პოლიტიკური პლატფორმა „ოსვობოჟდენცებისა“, აგრეთვე ამგვარივე პლატფორმები დასავლეთ ევროპის პარლამენტთა ცხოვრებიდან. ამ მხრით გამონაკლისს არ შეადგენს სრულიად რუსეთი პარლამენტი.

რადგანაც ყოველმა ერმა თვითონვე უნდა დაიცვას თვისი ეროვნული მოთხოვნილებანი, საჭიროა დრო არ დავკარგოთ და ახლავე შევიკრიბნეთ კავკასიის ერთა წარმომადგენელნი ტფილისში და ხმამაღლა ვამცნოთ რუსეთს და მთელ ქვეყანას ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური საჭიროებანი.

შესაძლებელ უსიამოვნებისა და აზრის მრუდედ აგების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ კიდეც, რომ კავკასიის არც ერთ ერს აზრადაც არა აქვს სეპარატიზმი, ჩვენ ყველას შეუგნებლადა გვწამს, რომ კავკასია ნაწილია რუსეთის იმპერიისა, ხოლო ჩვენა ვთხოულობთ და გვსურს დამყარდეს ისეთი დამოკიდებულება, როგორი დამოკიდებულებაც დამ[illegible] (ფინლანდია) და დამყარდება სხვა განაიდეალის სახელით [illegible] პოლიტიკურ რამ როგორ?

კავკასიის პრესსამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთაც ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა ნამდვილად აინტერესებთ, არსებულ თვითმართველოების ორგანოებმა და ორგანიზაციებმა, ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა მოვიწვიოთ, საერთო, კავკასიის ერთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კრება და მოვსთხოვოთ რუსეთს დამფუძნებელი კრება კავკასიისათვის.

კავკასიის დამფუძნებელ კრების მოწვევა, რასაკვირველია, უნდა მოხდეს სრულ დემოკრატიულ საფუძველზე, ე. ი. საერთო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით.

ს. ვ—ძე.

მოითხოვეთ სრული ამნისტია!

ხალხმა ახლაც ჯერ კიდევ არ მიიღო ის, რისი მიღებაც უნდოდა. განთავისუფლების გზაზე დამდგარი ქვეყანა თავის განმანთავისუფლებლების დაბრუნებას ელოდა. ისინიც დაუბრუნდნენ, მაგრამ **ყველანი არა!**

ისინი, ვინც ჩამწყვდეული იყო შლისელბურგის ქვითკირის ორმოებში, ციმბირისაკენ და არხანგელსკისაკენ გაიგზავნებიან.

ისინი, ვინც თავის განმანთავისუფლებელი საგმირო საქმე ჩაიდინა ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, ე. ი. ბოგოლეპოვების, სიპიაგინებისა და პლევეების საშინელ მტარვალობის დროს, ახლა, მანიფესტის ძალით, კატორღაში გაიგზავნა.

ყველა ის, ვინც იმ დროს, როდესაც ბოგდანოვიჩების, ობოლენსკების და ფონ-ვალის ბრძანებით ინთხეოდა ხალხის უმანკო სისხლი, როდესაც ჰაერში ისმოდა დაჭრილ გლეხების და მუშების კვნესა, როდესაც ამ კვნესას ებრაელების და სომხების კვნესა უერთდებოდა, ყველა ის, ვინც ამ დროს გაწვალებული, სასოწარკვეთილებამდის მისული, რწმუნდებოდა, რომ ბრძოლის ყოველივე სხვა გზა და საშუალება ხალხს მოსპობილი ჰქონდა, და ამის გამო „ძალადობის“ გზას ადგებოდა,—ყველა ამ მებრძოლებმა თავისუფლება ვერ მოიპოვა.

ყველა ის, ვის საქმესაც სამხედრო სასამართლო არჩევდა, ვისაც ამიტომ სამართლიანობის გარანტიები იმ თავითვე მოსპობილი ჰქონდა, ყველა ის, ვინც „გაძლიერებულ დაცვის“ საშინელ კლანჭებში იწყებდა ბრძოლას,—ახლა თავისუფლებას მოკლებულია.

ყველა ის ჯარის კაცი, მეზღვაური და აფიცერი, რომელთაც ვერ აიტანეს ადამიანის ღირსების შელახვა, სამხედრო დისციპლინის სახელით შემოღებული, რომელთაც ყაზარმების კედლებმა ვერ მოუსპო ეს კავშირი ხალხის ტანჯვა და წვალებასთან,—ყველა ამათ სიტყვა „ამნისტია“ არ ღირსებიათ.

ყველა ის მორწმუნე ადამიანი, რომელმაც არ ისურვა პოლიციელების ბრძანებით თავის რწმენაზე ხელის აღება,—ყველა დღესაც მოწყვეტილი რჩება ცოლშვილს, მიწასა და გუთანს.

იმ ხალხთან, რომელიც ახლა წელში გაიმართა და რომელმაც ხელი გააწოდა უფლებისა და თავისუფლების მისაღებად, ბიუროკრატია დღესაც იჩენს თავის წვრილმან ხრიკებს, სათვალთმაქცო მხდალობას და დაუნდობელ შურისძიებას.

ყველაზე უფრო თავგანწირულთ, სხვებზე უფრო გამწვავებულთ არ აძლევენ თავისუფლებას. რუსეთში წინანდელივით ხალხს თავზე საშინელ მუქარასავით აწევია კანონები პოლიტიკურ „დანაშაულის“ შესახებ. დღეს კიდევ გვემუქრებიან ციხით, სიკვდილით დასჯა მხოლოდ 17 ოქტომბრამდის ჩადენილ საქმეებისთვისაა. მოსპობილი. სარჩობელები არ გადაუგდიათ, ეს სარჩობელები ახალ მსხვერპლს ელიან.

სამოქალაქო თავისუფლება გამოცხადებულია. თავისუფლებისათვის მებრძოლნი, წამებულნი და გმირები, ისინი, ვინც თავის სიცოცხლესაც სწირავდნენ ხალხის საბედნიეროდ, ახლა უნდა დაუბრუნდნენ ხალხს უკლებლად, არავითარი გამონაკლისი, არავითარი მათი შეზღუდვა არ არის საჭირო!

ისინი სიმართლისათვის იბრძოდნენ. ხალხმა ეს აღიარებინა იმათაც, ვინც ამ მებრძოლთა მოქმედებას წინად ბოროტ-მოქმედებას ეძახდა.

ხალხი ვერ დაიჯერებს დაპირებას მომავალ [illegible], სანამ [illegible] მაინც თავისუფლებისთვის მებრძოლი ტუსაღი დარჩება ციხეებში დამწყვდეული ან შორს ქვეყნებში გადასახლებულ-გადაკარგული.

ხალხი სრულ ამნისტიას მოითხოვს!

კავშირთა-კავშირის ბიურო.

სთხოვენ ხელის მოწერას ამ განცხადებაზე. (სახელი, მამის სახელი, გვარი). ხელმოწერილი ფურცლები უნდა გაიგზავნოს პეტერბურგში სერგიევსკაია 13 (ნაფიც ვექილთა სადგომში), ან რედაქციაში. („სინ ოტეჩესტვა“)

გურია.

„ფონი გასავალს დალოცეო“!—ამბობენ ჩვენში. თუმცა ანდაზები ხალხის სიბრძნის გამომხატველია, მაგრამ ჩვენ ხშირად გვეურბივართ ასეთ სიბრძნეს და მით არ ვხელმძღვანელობთ. მართლაც და, სად იყო ეს ანდაზა იმ დროს, როცა მთელი ტფილისის საზოგადოება: დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, დავრბოდით „წყალობით გახარებულნი. ამ დროს ჩვენს გულში ოპტიმიზმი არა თუ სჭარბობდა პესიმიზმს, არამედ სრულ გამარჯვებასაც დღესასწაულობდა. ამ დროს ყოველივე დავივიწყეთ, გარდა საკუთარის თავისა. დავივიწყეთ ისიც, რომ „გამოგლეჯილ“ თავისუფლების ნაფლეთს ერთის მხრით ჩვენ ვეწეოდით, ხოლო მეორე მხრით მთელი გროვა ბნელი ძალებისა“. და თუ ოდნავად მაინც ხელი შევუშვით ამ ნაფლეთს, „ბნელი ძალები“ გადაგვწო[illegible] ამიტომაც [illegible] გვეკრავენ... [illegible]ლებმა დრო შეგვირჩიეს და 22 [illegible] პირველ გიმნაზიის შენობაში ნადირი გადაიხადეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რუსეთის ყველა ქალაქებში დაწიოკებულ ებრაელების წივილ-კივილი მთელ დედამიწას მოედო. ბაქოში, ერევანში და განჯაში კვლავ განახლდა ძმათა სისხლის ღვრა. დარჩა ტფილისი. აქ ვერც სომხების და თათრების ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიეს და ვერც სომეხთა და ქართველთა აწიოკება. განა საზოგადოების ნაძირალთათვის სირცხვილი არ იქნებოდა, რომ აქ მშვიდობიანად ჩაევლო ხალხის გამარჯვების დღესასწაულს?! ოღონდაც, რომ იქნებოდა!

იმ დროს, როცა ასეთი საზარელი სურათი წინ გვიდგას, გურიიდან საოცარი ცნობები მოდის, რომლებიც დანამდვილებით გვიმტკიცებენ, რომ გურია განსაცდელშია. დღითი-დღე ყოველ მხრიდან ჯარსა გზავნიან გურიაში ხალხის დასამშვიდებლად. რა ამბავია? რა მოხდა? რამ შეაძრწუნა ასე ადგილობრივი მთავრობა?

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო!

დიდის ხნის გამოღვიძებული გურულები აჩქარებულის ფეხის ნაბიჯით მიექანებოდნენ საუკეთესო მომავლისაკენ და ყოველივეს, რაც მათ გზაზე ეღობებოდათ და მიზნის განხორციელებას ხელს უშლიდა, სპობდნენ, აქარწყლებდნენ, რა თქმა უნდა, კულტურული ზომებით, და არა ისეთით, რომელსაც სტიქიურად აჯანყებული მხარე ხმარობს ხოლმე! არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფრიად საგულისხმო და მეტად სასიამოვნო მოვლენა, რომ მთელ კავკასიაში გურიამ პირველად აანთო განახლების ლამპარი. აქედან ეს ლამპარი ცხოველმყოფელ შუქს ფენდა მთელ ახლო-მახლო მიდამოს. როგორც დაგვიანებულ მგზავრს შორს მბჟუტავი ცეცხლი იმედს ჰფენს: ჯერ ყველას არ სძინავს, შეიძლება მასპინძელი მღვიძარე დამიხვდესო, ისე გურიის ლამპარი სხვა ქვეყნების ტვირთმძიმეთ გულში იმედს უსახავდა და გამარჯვების იმედს უღვივებდა.

დანთებული ლამპარი მოლუზღუზე კოცონად იქცა. ცეცხლი გაძლიერდა, ქარმა დაჰბერა და ახლო-მახლო სოფლებს მოსდო. გამოიღვიძა სამეგრელომ, თვალი მოიფშვნიტა იმერეთმა, დაინძრა დინჯი რაჭველი, მასვე აჰყვა ქართლ-კახეთი, ქიზიყი და სხვები. ყველას მოსწყურდა თავისუფალი ცხოვრება. „ან სიკვდილი, ან თავისუფლება“!—აი დროშა, თავისუფლების მწყურვალეთა. ამ დროს ქალაქებში ხომ გაცხარებული მუშაობა იყო გამართული ხალხის გასათვითცნობიერებლად. მთელ ცხოვრებას რაღაც არა-ჩვეულებრივი ელფერი დაედო. ყველა რაღაცას ელოდა, რაღაცასთვის ემზადებოდა. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ერთიმეორეზე მოდიოდა ამბავი: აგრარული მოძრაობა ელვის სისწრაფით ედება რუსეთის სოფლებსო.

რას შვრებოდა ამ დროს გურია? ნუ თუ ის ხელს ითბობდა ჩაფერფლილ კოცონზე? არა, არა და ათასჯერ არა! გურულები ზედის-ზედ უმატებდნენ კოცონს და ცეცხლს აძლიერებდნენ. გულის ფანცქალით უსმენდნენ გაზეთის მკითხველთ და, როცა გაიგებდნენ, რომ ზოგიერთს კუთხეში ჯერ კიდევ ჩუმად ზის ხალხი, სიბრაზისაგან წამოიძახებდნენ: „რა ქნეს იმ ოჯახაშენებულებმა, იძინეს ამდენ ხანს თუ? ჩვენ წუნწუბასავით ვართ ყველაი, ერთი გაჰკარი სფიჩქა და აინთება; თუ ამდენი გვაცდის, არ ვიცით, რას ვიზამთ. ქე მაინც მომიწრებოდა, რაცხა რევოლუციაა, თუ ჯანდაბაა; ჯაერს ქემაინც ვიყრიდი ერთს და მერმე, თუ მოვკვდები, აღარ ვჩივი. სირცხვილში ვართ, თვარა სხვას ვინ ჩივა: გლანძღავენ, გათრიაქებენ, შენს ქალ-ბალანას ზრუგზე საქალამნე ტყავს აძრობენ. შენ დეიდევი ზურგზე ხელი და უყურე. ერთსა და ორს, წავხდი, როვა შევარჩენ, პრასსაცით წავკინტრავ თავს, მარა სხვებს აათრებენ ჩემს პირობაში და მაგის მეშინია!..“

დიაღ, თავმომწონე გურული, რომელიც დღემდე უბრალო სიტყვით შეურაცხყოფისათვის სასტიკად გაუსწორდებოდა მოპირდაპირეს, დღეს ფიზიკურ სასჯელსაც ითმენს, რადგან კარგად ესმის, რომ უდროოდ დაწყებული მოქმედება, მოუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯი საერთო საქმეს ხელს შეუშლის და კაცობრიობის იდეალს შეაფერხებს. ამიტომაც უცდის იმ დროს, როცა მთელი რუსეთი ფეხზე წამოდგება და მედგარი ხმით დასჭექს: „ჩამოდექით, მტარვალნო, გზა მოგვეცით! ხელ-ახსნილი პრომეთეოსი მობრძანდება, იუპიტერო, პირქვე დაეცი და თაყვანი ეც მას!“

ამ სანეტარო დროს უცდიდა გურია! უცდიდა და თანაც ცდილობდა, სხვებს უკან არ ჩამორჩენოდა და სირცხვილი არ ეჭამა, ვინაიდან გურულის აზრით, სირცხვილს სიკვდილი ბევრად სჯობია. რაში გამოიხატებოდა გურიის მზადება? ორნაირი მზადება იყო გურიაში: იდეური და სამხედრო. პირველს ხელი შეუწყო ბათუმის ქარხნების დახურვამ. გურული მუშები ათასობით მოედო სოფლებს და თავის მოძმის გათვითცნობიერებას შეუდგა. შესდგა წრეები თითქმის ყველა სოფელში, სადაც საღამო-საღამოობით მოწინავე მუშები უკითხავდნენ გლეხებს საპროპაგანდო წიგნაკებს და ფურცლებს და ამით მათ გონებრივ გორიზონტს აფართოებდნენ. იმართებოდა ძალიან ხშირად კამათი სხვადასხვა პარტიების და ფრაქციების წარმომადგენლებისაგან, სადაც ყველა: განურჩევლად წოდებისა, სქესისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა. თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეზე ეკლესიის გალავანში სოფლის კრება იყო გამართული. ამ კრებაზე ირჩეოდა მთელი ის საქმე, რომელიც დღემდე ადმინისტრაციას ებარა. ასეთს კრებაზე ხშირად შეხვდებოდით ხოლმე სოფლელს, რომელიც გაგაოცებდათ მჭევრმეტყველობით და ლოღიკურ მსჯელობით. რა თქმა უნდა, ასეთი დაწესებულებანი პოლიტიკურად სწრთონი[illegible] წყდებოდათ, რომ მიზნის განსახორციელებლად მარტო იდეური ბრძოლა არ კმარა. ჩვენი მოპირდაპირე უკანასკნელი სისტემის იარაღით არის აღჭურვილი, მაშასადამე, ძლიერ ძალას წარმოადგენს. ძალას კი ძალამ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა. ამიტომაც იყო, რომ გურულები სამხედრო ძალასაც იძენდნენ. ადგენდნენ მოწინავე რაზმს, რომელიც პირველ შემოხვევაზევე მზად იქნებოდა მტერს გამკლავებოდა. ასეთს რაზმებში დიდის სიხარულით ეწერებოდნენ როგორც ახალგაზდა, ისე ქალარა გარეულებიც. არა ერთხელ გამართულა გურიის ტრიალ მინდვრებში შეიარაღებული მიტინგი, სადაც მოწინავე რაზმი ხალხს იცავდა კაზაკების თავდასხმისაგან.

ასეთ გაცხარებულ მუშაობაში იყო გურია, როცა რუსეთში დიადი საერთო გაფიცვა დაიწყო. ამ გაფიცვას მხარი დაუჭირა კავკასიამაც. გაფიცვის ალი გურიასაც მოედო. შეწყდა ყოველივე კავშირი სხვა ქალაქებთან, დარჩა განმარტოებული გურია. მისი აზრით, რუსეთში რევოლუცია უკვე დაწყებული იყო, კავკასიაც უთუოდ ბანს მისცემდაო, იფიქრეს გურულებმა და შეუდგნენ მოქმედებას. საბაბიც მალე გამოჩნდა.

დაბა ჩოხატაურში მრავალრიცხოვანი მიტინგი ყოფილა გამართული. კაზაკებს ხალხის დასაშლელად თოფები გაუსვრიათ და რამოდენიმე მოუკლავთ, რამოდენიმეც დაუჭრიათ. გურულები ასეთს შეურაცხყოფას, შეიძლება, სხვა დროს კი აიტანდნენ, მაგრამ დღეს მოთმინების ფიალა აევსოთ და სისხლის აღებას შეუდგნენ. იმ დღესვე გამოსჭრეს ყელი რამოდენსამე კაზაკს და დანარჩენიც დაატყვევეს და იარაღი აჰყარეს (როგორც ამბობენ, სულ 120 კაზაკი ყოფილა დაბა ჩოხატაურში). რა კი ასეთი გაბედული და მასთან სახიფათო ნაბიჯი გადადგეს, შეუდგნენ სხვა პოზიციების აღებას და გამაგრებას. დაიპყრეს სადგური ნატანები, სუფსა, ქობულეთი და სხვა. ასე გვიამბო მოსულმა გურულმა.

როგორც გადმოგვცეს, 17 ოქტომბრის მანიფესტზე გურიაში დღესაც არაფერი იციან. მაშინ, როცა აქ ქუჩებში „მარსელიეზას“ და „დუბინუშკას“ გაჰკიოდნენ, ამ დროს ჩვენი მამები, ძმები და დები მოკლულთ, დასახიჩრებულთ დასტიროდნენ. იმ დროს, როცა ჩვენ სიხარულის ცრემლებით ვაპოხიერებდით ტფილისის ქუჩებს, ჩვენი დედები და დები, ვინ იცის, რამდენ ნაღვლიან ცრემლებს აპკურებდნენ დაღუპულ გმირ მებრძოლთ! დიაღ, გურულებმა არც ის იციოდნენ, რომ რუსეთში რეაქცია მძვინვარებს და ლამის ყოველივე წაგლეჯილი თავისუფლება დაიბრუნოს და ძველებური პაპაში განაგრძოს! ყოველივე ეს გურულებს რომ სცოდნოდათ, ასეთ სახიფათო ნაბიჯს როდი გადასდგამდნენ.

რითი უნდა დასაჯონ ისინი ასეთი უცოდინარობისთვის? რითი და ურიცხვი ჯარით! გურიას ალყა შემოარტყეს. ტფილისიდან აყარებული ჯარი გაგზავნეს და გზავნიან.

რა ჩაიდინა გურიამ ისეთი, რაც სხვა მხარეს არ ჩაედინოს? არაფერი! განა სხვა მხარეებში კაზაკები არ დაუხოცნიათ, განა იარაღით ხელში პოლონეთი არ აღსდგა, განა ფინლანდიამ გურიაზე გაბედული ნაბიჯი არ გადასდგა? დიაღაც, რომ კი! შეიძლება გურულების მოთხოვნილება ძირიანად განსხვავდებოდეს სხვა მოწინავე ქვეყნების მოთხოვნილებისაგან? ვნახოთ, რა მოითხოვა გურიამ იმ დროს, როცა სულთან კრიმგირეი გურიაში მოგზაურობდა. „ჩვენი მოთხოვნილება გამოიხატება მხოლოდ სამი სიტყვით: ჩვენ გვინდა პური, სამართალი და თავისუფლება; ჩვენ არ გვაქვს არც ერთი, არც მეორე და არც მესამე“—ამბობს ხალხის დეპუტატი. „ჩვენ კერძოს არაფერს არა ვთხოულობთ. ჩვენსავით გაჭირებულია ასი მილიონი რუსეთის ხალხიც. ჩვენ მოვითხოვთ სახაზინო, საეკლესიო და საუფლისწულო მიწების გლეხების საკუთრებად აღიარებას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენშიაც ისე მოეწყოს საქმე, როგორც სხვაგან არის, ე. ი. თექვსმეტ წლამდის სწავლა უფასო და სავალდებულო იყოს ორივე სქესისთვის, წოდების და ეროვნების განურჩევლად. ამას გარდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებელიც რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის; ჩვენ მოვითხოვთ კრების თავისუფლებას, პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობას, გაფიცვის თავისუფლებას და უდანაშაულოდ დასჯილთა განთავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ მუდმივი ჯარის გაუქმებას და სახალხო მილიციის დაარსებას, და, თუ საჭირო იქნება მტრის მოგერება, ყველანი მზად ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთამდის ვიბრძოლოთ. ჩვენ ვთხოულობთ წოდების მოსპობას და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის გათანასწორებას. უნდა იყოს მოქალაქე და არა ვინმე განსაკუთრებული წოდება. ვის შეუძლიან აგვისრულოს ყველა ჩვენი მოთხოვნილება? ნუ თუ იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ყოველი მხრიდან გვავიწროებს და რომელმაც დაკარგა ჩვენი ნდობა? არა, მას არ შეუძლიან ჩვენი პატრონობა! ჩვენ თავს ისევ ჩვენ უნდა ვეპატრონოთ. ამისთვის ჩვენ მოვითხოვთ მოწოდებულ იქმნას დამფუძნებელი კრება ხალხისაგან არჩეული დეპუტატებით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ეჰ! ვინ მოსთვლის რამდენი უსამართლობა დატრიალებულა ჩვენს თავზე! ვინ მოსთვლის ჩვენ გაჭირებას, ჩვენ შევიწროებასო!

„ჩვენ მოვითხოვთ, მესაკუთრე გლეხებისათვის უსამართლოდ წართმეულ ფულების დაბრუნებას. დროებით ვალდებულთა განთავისუფლებას უფასოდ, თავის ნადელიანათ. გადასახადის შემოსავლის კვალზე გაწერას. ფარული გადასახადების და ბაჟების მოსპობას, ეკლესიის განშორებას სახელმწიფოსაგან. სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლებას, პასპორტას მოსპობას, „სადაც მე ვარ, იქ რაღა საჭიროა რაღაც ნაწერი ქაღალ[illegible] ნაფიც მოსამართლეებს და სახელმწიფო მოხელეთა პასუხის გებას“...

აი, ის მოთხოვნილებანი, რისთვისაც დღეს გურიას ალყა შემოარტყეს და განადგურებას უქადიან! აი, ის მოთხოვნილებანი, რისთვისაც ადგილობრივ მთავრობას და გურიის ბნელ ძალებს სურთ ეს კავკასიის შვეიცარია ააოხრონ და ქვა-ქვაზე არ დატოვონ. განა ამ მოთხოვნილებებში უმთავრესი კი არ „გვიბოძეს“? მაშ რაღას ერჩიან დღეს გურიას? მან ზედმეტი რა დააშავა? არაფერი! მაგრამ რევოლუციის ბუდე თუ არ დაიშალა, ისე რევოლუციას თავიდან ვერ ავიცდენთო,—ჰგონებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ჯარს ჯარზე გზავნიან! ნუ თუ ნაჩქარები და სახიფათო არ იქნება თვით მთავრობისათვის ასეთი ნაბიჯი?.. გაანადგურებენ გურიას, გაანადგურებენ სხვა აყვავებულ მხარესაც, მაგრამ ერთხელ გაღვიძებულ აზრს კი ვერ ჩააქრობს ვერავინ! ჭეშმარიტი აზრი ის ზღაპრული გველეშაპია, რომელსაც თითო მოკვეთილი თავის მაგიერ ცხრა თავი ამოდიოდა...

მოქალაქენო, ნუ თუ ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი უნდა ვისხდეთ და შევსცქეროდეთ ასეთ საშინელებას?! არა, ჩვენ ხელი უნდა გავუწოდოთ განსაცდელში ჩავარდნილ გურიას. გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის დამარცხება-განადგურება, ჩვენი დამარცხებაა და სოფლებში სრული რეაქციის გაბატონება. ჯერ არ არის გვიან... სისხლი მებრძოლ გურულთა მოგიწევს თქვენ!..

მ. მაკ—თელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 30 გაზ. „სლოვი“ არ გამოსულა, თანამშრომლებმა და ამწყობებმა უარი განაცხადეს ამ გაზეთისათვის შრომაზე. კრონშტადტში აჯანყება სცხრება. სასწავლებლები 1 იანვრამდის იკეტება.

მოსკოვი. უნივერსიტეტი ჯარებითა და პოლიციით გარშემორტყმულია. მიტინგი არ შესდგა. სტუდენტებს უნივერსიტეტში არ უშვებენ, ღამე თავდასხმას ელიან; შიშიანობაა.

ოდესსა. რამოდენიმე აფიცერი აცხადებს, ხულიგანების ძარცვა-გლეჯას, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ ესპობდითო. ჩვენგანი ვინც ამის წინააღმდეგი შეიქნა, დაატუსაღესო. უნივერსიტეტი ქენევის კონფერენციას ატყობინებს, რომ პოლიცია და ჯარები წითელი ჯვრის მქონე ექიმებს ესროდნენ. ხალხი ელის ხეიდგარტის სამართალში მიცემას. ყველა მოკლულ სტუდენტს ერთ საერთო საფლავში ასაფლავებენ.

სამტრედია. სადგ. სამტრედიაში რკინის გზის ყველა მოსამსახურე შეუდგა მუშაობას და ითხოვს, რომ მოისპოს სამხედრო წესები, მოწვეულ იქმნას საერო დამფუძნებელი კრება, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო საარჩევნო უფლებაზე დამყარებული, მოცემულ იქმნეს ნამდვილი თავისუფლება სიტყვისა, კრების, გაფიცვისა, სვინიდისისა, სადგომისა და პიროვნების ხელუხლებლობა, სრული ამნისტია ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა. მოვითხოვთ მოისპოს სამხედრო სამსახურში გაწვევა რკინის გზის მოსამსახურეთათვის. გაფიცვისათვის არავინ დათხოვნილი არ უნდა იქმნას, ყველა გაფიცულს ჯამაგირი უნდა მიეცეს.

ფოთი, 31 ოქტომბერი. ცხოვრების მშვიდობიან განვითარებისათვის ქალაქის მოურავი ნიკოლაძე დეპეშით შუამდგომლობს სახალხო მიტინგის სახელით, რომ რუსეთის და კავკასიის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, და იმის გამო, რომ ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენება მხოლოდ ძირითად რეფორმების შემოღებით არის შესაძლო, ფოთის მოქალაქეთა კრებაზე გადაწყვიტეს მოითხოვონ: 1) მოისპოს სამხედრო გაძლიერებულ დაცვის წესები; 2) გურიიდან ჯარები გაყვანილ იქმნას, ვინაიდან გურულები იმასვე მოითხოვენ, რასაც ითხოვენ რუსეთის ყველა მოქალაქენი; 3) ჯარის კაცები საპოლიციო სამსახურისაგან განთავისუფლებულნი იქმნენ და შინ გაისტუმრონ სამისოდ გაწვეული ჯარის კაცები. დაუყონებლივ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო კენჭის ყრით ამორჩეული. მოქალაქენი მხარს უჭერენ პოლიტიკურ გაფიცვას. ყველა დაწესებულება გაიფიცა.

—:—

ახალი ამბავი

—

◆ გურიის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა ქართველ საზოგადოებაში დიდი გულხმიერება გამოიწვია. რამდენიმე კრება გამართა სათავადაზნაურო საკრებულოში სხვადასხვა წრეთა წარმომადგენლებისა. სხვათა შორის, **კრებამ აირჩია დეპუტაცია**, რომელიც გუშინწინ, 30 ოქტომბერს, ნამესტნიკს წარუდგა და სთხოვა, გაეჩერებინა გურიაში ჯარის გაგზავნა და სამხედრო მოქმედების დაწყება, რომელიც განზრახული ჰქონდა მთავრობას. დეპუტაციამ აგრეთვე სთხოვა ნამესტნიკს დაენიშნა ისეთი სანდო პირი, რომელსაც შეიძლება პირუთვნელად გამოეკვლია გურულების მოძრაობის ვითარება. ნამესტნიკმა თურმე უპასუხა დეპუტაციას, რადგანაც ჯარი უკვე წასულია, იმის გაჩერება შეუძლებელია და მხოლოდ ვუბრძანებ, რომ ოზურგეთის მაზრაში არ შევიდეს ჯარი და მოქმედება არ დაიწყოსო, ამასთანავე დაჰპირდა, სანდო პირს გავგზავნიო. თქვენც თქვენის მხრით ამოირჩიეთ რამდენიმე პირი, რომელნიც შეეცდებიან, რომ გურიაში აღძრული მოძრაობა მშვიდობით გათავდესო. როგორც გავიგეთ, გურიაში ნამესტნიკის მიერ იგზავნება გენერალი მალამა და და ბ-ნი ვეიდენბაუმი. საზოგადოებამ კი თავისის მხრით აირჩია გურიაში წასასვლელად ბ-ნნი ექვთიმე თაყაიშვილი, პართენ გოთუა და ნაფიცი ვექილი დემიდოვი. მთავრობა თხოულობს: 1, გურულებმა სცნონ ადგილობრივი მთავრობა, 2, ჯარის-კაცნი გაიყვანონ სამხედრო სამსახურში და 3, გაიღონ სავალდებულო სახელმწიფო გარდასახადები.

◆ კვირას, 30 ოქტომბრიდან, **გააუქმეს ტფილისში და ტფ. მაზრაში ომიანობის დროის წესები**, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი ქუჩებსა და მოედნებზე გაკრულ გუბერნატორის განცხადებაში იმის შესახებ, რომ გაძლიერებული დაცვაც გაუქმდაო. ახლა ტფ. გუბერნატორი ბარონი რაუშ ფონ-ტრაუბენბერგი აცხადებს, ტფილისის მცხოვრებთა ის ეჭვი ვითომ გაძლიერებული დაცვა არ იყოს გაუქმებული, უსაფუძვლოა; ამა წლის 4 სექტემბერს აქეთ ტფილისში აღარ არსებობსო გაძლიერებული დაცვა.

◆ დღეს, 1 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ნაძალადევში დანიშნულ **მასწავლებელთა და მოსწავლეთა მშობლების მიტინგზე** განხილულ იქმნება, სხვათა შორის, საგანი იმის შესახებ, ტფილისის სასწავლებლებში სწავლა დაიწყოს თუ არა. თუ ავი დარი იქმნება მიტინგს სხვა დროსთვის გადასდებენ.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ **ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი**, რომელიც, როგორც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ალ. ყიფშიძე იუწყებოდა, გურიაში გაემგზავრა მცხოვრებთა დასამშვიდებლად, **სამტრედიიდან უკანვე, ქუთაისში, დაბრუნებულა 29** ოქტომბერს, რადგანაც გზები გაფუჭებული ყოფილა და გზის განგრძობა ვეღარ მოუხერხებია.

◆ როგორც გავიგეთ, **„პატრიოტულ პარტიის“** ზოგიერთ წევრებს სოციალ-დემოკრატ მუშებისთვის განუცხადებიათ: ამის შემდეგ მეგობრებად გვიგულეთ და შეგვიერთეთო. მუშები დათანხმებულან, მაგრამ უთქვამთ: პარტიულ ზოგიერთ საიდუმლოებათ მაინც ვერ გაგანდობთო.

◆ გუშინ, 31 ნოემბერს, ნ. თამამშევმა ხელმეორედ იკისრა ხმოსნობა, რადგან ტფილისში სამხედრო წესები გაუქმებულ იქნა, თამამშევი წერილობით წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, **საბჭოს ხმოსანთა ახალი არჩევნები დანიშნეთო**. არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს მთელმა ტფილისმა და არა მარტო უმცირესობამ, როგორც აქამდე იყოო.

◆ გაზ. „ვოზრჟდ.“-სა და „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი იყო, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსმა, ინჟენერმა ივანოვსკიმ შეადგინა სია იმ მოსამსახურეთა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ რკინის გზათა გამგეობაში გაფიცვას, წარუდგინა კავკასიაში პოლიციის უფროს გენ. შირინკინს და სთხოვა სამაგალითოდ დასაჯაო; გენ. შირინკინმა ეს სია ნამესტნიკს წარუდგინა, მაგრამ ნამესტნიკმა სიაში შეტანილ მოსამსახურეთა დასჯა არ შეიწყნარაო. ეს ცნობა ხსენებულ გაზეთებიდან ჩვენც გვქონდა გადმობეჭდილი. **ახლა გენერალი შირინკინი სთხოვს გაზეთებს** გამოაცხადონ, რომ ეს ცნობა მართალი არაა და მას, შირინკინს, არაფერი ამის მსგავსი არ წარუდგინა ნამესტნიკისთვის.

◆ კვირას, 30 ოქტომბერს, რკინის გზის **მემანქანეთ კრება ჰქონდათ** და დაადგინეს: შეუდგნენ მუშაობას იმ პირობით, რომ ხაშურს იქით აღარ ატარონ მატარებლები და იარონ მხოლოდ სახალხო მატარებელზე, რადგანაც საქონლის მატარებლით ჯარი მიჰყავთ ხოლმე.

◆ ტფილისის **ვაჟთა პირველი გიმნაზია ჯარმა უკვე გაანთავისუფლა** და შენობა დაუბრუნდება ისევ გიმნაზიის გამგეობას.

◆ 29 ოქტომბერს, ღამით, **ტფილისში ჩამოვიდნენ ის პოლიტიკური დამნაშავენი**, რომელნიც ამ ორის თვის წინად გორის მაზრიდან რუსეთში იქმნენ გაგზავნილი საცხოვრებლად. ჩამოვიდნენ, სხვათა შორის, თავ. გიორგი მაჩაბელი, რომელსაც ბრალად ედებოდა წითელი რაზმის მეთაურობა, ალ. კეცხოველი და ცერცვაძე. სულ 23 კაცი ჩამოვიდა. ესენი მოსკოვში ყოფილან გაჩერებულნი, რადგან, მატარებლების მოძრაობის შეჩერების გამო, დანიშნულ ადგილებამდე ვერ მიუყვანიათ. ამდენივე კაცი პეტროვსკიდან ტფილისში გამომგზავრებულან. ტფილისში ამ დღეებში ჩამოვლენ.

◆ მკითხველებმა იციან, რომ კავკასიის ნამესტნიკის საგანგებო მინდობილებათა მოხელემ ნ. ვ. პროკოპემ მარსელიეზის დაკვრისთვის გიმნაზიას „საროსკიპო სახლი“ უწოდა. ამჟამად გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა: **პროკოპეს საქციელი** ნამესტნიკს აცნობონ.

◆ [illegible] გაგზავნილ [illegible] გამოარჩიეს **ქართველი სალდათები** და ტფილისში დასტოვეს.

◆ „ვოზროჟ.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ გურიაში გაგზავნილი **ჯარი ყვირილაში შეაჩერესო**.

◆ ნაგომარსა და ოზურგეთს შუა გურულებსა და კაზაკებს შეტაკება მოუხდათ. **მოკლულია 60 კაზაკი**. გურული მოკლულია ერთი, დაჭრილია 3.

◆ გაზეთ „რუს“-ში ბ-ნს ბოლქვაძეს დაუბეჭდია წერილი, რომელშიაც იწვევს რუსულ პრესსას, დაეხმაროს საქართველოს **ავტონომიის მოპოვებაში** და მთავრობას ძალა დაატანოს, რომ გურიიდან ჯარები გამოიყვანოს.

◆ რადგან ტფილისში, **სამხედრო წესების გაუქმების შემდეგ**, ხალხი ცოტად დამშვიდდა, **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** გადასწყვიტა, მომავალ ხუთშაბათიდან წარმოდგენის მართვა განაგრძოს. წარმოდგენის მართვას განაახლებს სომხური დრამატიული საზოგადოებაც.

◆ 28 ოქტომბერს, სადგურ ავჭალასთან ჩანგრეული ხიდი შეაკეთეს, მაგრამ **ხაშურისაკენ მატარებლების ხშირად გზავნას ვერა ჰბედავენ**. გუშინწინ, 30 ოქტომბერს, ხაშურისაკენ მხოლოდ ერთი მატარებელი წავიდა.

◆ **ქართლიდან** გვატყობინებენ: როდესაც სოფლებში ეგზეკუციები ჩადგა და ილაჯგაწყვეტილმა ხალხმა ეგზეკუციის მეთაურებს წარუდგინა სია მოძრაობის მეთაურებისა, სოფლებიდან ბევრი ასისთავი და ათისთავი გაიქცა, რომელნიც დღესაც არ დაბრუნებულან. საზოგადოდ, ქართლს 17 ოქტომბრის მანიფესტისა არა გაუგია-რა, რადგან კაზაკები სოფლებში ძველებურად ნავარდობენ.

◆ გუშინ, 31 ოქტომბერს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება იყო**. კრების დაწყებისათანავე დამსწრეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას. გადაწყდა, 10,000 მანათი გაიღოს დახოცილთა და დაზარალებულთა ოჯახების ნივთიერად უზრუნველსაყოფად. წარმოითქვა სიტყვები 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბრის ამბების შესახებ. კრება 5 საათზე დასრულდა და გაგრძელება დღეისთვის გადაიდო. დაწვრილებით ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

◆ ბ. ს. ესაძის რედაქტორობით და გამომცემლობით ტფილისში გამოდის ახალი ორგანო რუსულ ენაზე „კავკაზსკი კრაი“, რომელიც ჯერ კვირეული იყო, ხოლო შემდეგ კი დღიურად გამოცემის ნებართვა მიუციდა. 1-ლ ნოემბრიდან გაზ. „კავკ. კრაი“ რეგულიარულად უნდა გამოსულიყო, მაგრამ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა ბ-ნ ესაძეს ასეთი ულტიმატუმი გაუგზავნა: „ან სულ დაანებეთ თავი სამხედრო სამსახურს და გაზეთის გამომცემელ-რედაქტორად იყავით, ან სამხედრო სამსახურში დარჩით და გაზეთს თავი დაანებეთო“. ბ-ნმა ესაძემ [illegible], მაგრამ ჯურჯურობით უყურადღებოდაა დატოვებული მისი საჩივარი.

◆ მე-5-ე საპოლიციო უბანში ვიღაც უცნობმა გაქურდა ილია მახეილის ძის ხარევის ტუსაღს ქარხანა და 900 მანათის ღირებული საზღვარ-გარეთული ტყავი წაიღეს.

◆ მეხრე საპოლიციო უბანში ვიღაც უცნობმა ესროლა რევოლვერი პოლიციელს ალ. ბაცევიჩს, მაგრამ ტყვია ასცდა.

◆ ტფილისის მოქალაქეს მიხ. ანდრიასოვს თავის მოსამსახურემ სოფ. დიღმის მცხოვრებმა ხუციშვილმა ორი ათასი მოჰპარა და მიიმალა.

◆ ვარდისუბანში საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა მიიღო რა მხედველობაში ქალაქის ბიუჯეტის მდგომარეობა, შუამდგომლობა აღძრა უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ ჯარების ბინების გადასახადი, 30,000 მანეთი, რომელსაც ქალაქი იხდის ყოველ წლივ, ქალაქს ხაზინიდან მიეცეს.

◆ ოვაკ არუთინოვს, რომელსაც ყუმბარის სროლა ჰბრალდებოდა კაზაკთა ბინაში და რომელსაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ეს სასჯელი 12 წლით კატორღაზე შეეცვალა.

◆ კვირას, 30 ოქტომბერს, მე-10-ე საპოლიციო უბანში, ანდრეევის ქუჩაზე, ოჰანეზოვის შენობის [illegible] პირდაპირ პოლიციამ იპოვა [illegible] გვამი მე-5-ე პოლიციის სოტნი კაზაკის ნიკიფორე პრიხოდკოსი. ამბობენ, მუცელშიც ხიშტი უტაკებიათო.

სახალხო მიტინგი ნაძალადევში

—

კვირას, 30 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან მოწვეული მიტინგი, შემდგარი რამდენიმე ათასი ადამიანისაგან. მიტინგის საგანი იყო დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საზოგადოდ, და გურიის კრიტიკული მდგომარეობა, კერძოდ.

მიტინგი გახსნა კავკასიის მუშათა მოძრაობის ვეტერანმა. მან განუმარტა ხალხს კრების საგანი, შემდეგ დაიწყო დასურათება თანამედროვე ვითარებისა; აღნიშნა, თუ რა კავშირი აქვს ამ უკანასკნელს გურიის მდგომარეობასთან, მაგრამ ორატორმა, უზომო დაღლილ-დაქანცულობისა და მღელვარების გამო, ვეღარ შესძლო სიტყვის დაბოლოვება, და იგი გასავსავებული გაიყვანეს მახლობელ სადგომში მოსაბრუნებლად. მცირეოდენის ჩოჩქოლის შემდეგ, მიტინგი გაგრძელდა. სიტყვა დაიწყო მეორე ცნობილმა მეთაურმა. მან თავის ტკბილ და მჭევრ-მეტყველურის ენით დახატა გურიის წარსული და აწმყო, და მოუწოდა ხალხს მედგარის ბრძოლისათვის, რათა დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა ასულიყო სათანადო სიმაღლემდე და დაგვირგვინებულიყო სრულის გამარჯვებით.

ილაპარაკა სულ ათამდე ორატორმა. ლაპარაკობდნენ ქართულად, რუსულად და სომხურად; ერთმაც თათრულად ილაპარაკა. ერთი ორატორი იყო სო[illegible]ტებისაგან, დანარჩენები სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან.

ყველა ორატორ[illegible] წყობრ[illegible] ცაედნენ ბიუროსაგან წარ[illegible]ილ ო[illegible] რეზოლუციის პროექტს. აი, ეს რეზოლუციები:

პირველი. „მიტინგი იღებს რა მხედველობაში,

ფელიეტონი

—

მამიჩემის ჯეირანა

—

საზოგადო ცხოვრების მოვლენათ რომ ვაკვირდები, თანდათან ვრწმუნდები, რომ ეს მოვლენანი კერძო კაცის ყოფა-მდგომარეობას მეტისმეტად ჰგავს.

ძალიან ხშირად უცნაურის, ზედმიწევნითის თანასწორობით ეკილოკავება რომელიმე ოჯახის ყოფა—მდგომარეობა მთელის საზოგადოების, ერის და თვით სახელმწიფოს ვითარებას.

აი, თუ გინდათ, მაგალითად რუსეთის ახლანდელი ვითარება აიღოთ.

როდესაც ამ ვითარებას ვითვალისწინებ, მაშინათვე ჩვენი ოჯახი წარმოიდგება ხოლმე.

მამაჩემი ერთი თავისნება ადამიანი იყო. მეტის-მეტი უხიაკი ხასიათი ჰქონდა და თვის მბრძანებლობის საზღვარი არ იცოდა. წარმოიდგინეთ, თვით ულვაშოსან, დაბეჟკაცებულს წევრს ოჯახისას როდი შეეძლო თავისუფლად ხმის ამოღება და ჩვეულებრივის სურვილების ისე განხორციელება, როგორც გული და სინიდისი უთხრობდა ხოლმე.

— მე ვბრძანებ!.. ჩემი ნებაა! ჩემი სურვილია!.. არ მოგწონთ ეს, მიბძანდით... ჩემი სიცოცხლე ასე მიწირავს და ახლა თქვენ, ვიღაც ძაღლის [illegible] ში?!—აი რა გვესმოდა დღე-მუდამ მამიჩემისაგან.

მაგრამ განუწყვეტელ შფოთისა და ღრიანცელს ჩვენს ოჯახში, განსაკუთრებით, აი, რა იწვევდა:

ჩვენა გვქონდა ერთი ძველის-ძველი, საუკუნეთა გადასული „ეკიპაჟი“, როგორც შინ ეძახდნენ, და „თელეჟკა“, როგორც მოსამსახურეთა შორის ერქვა. რაღაც საცოდავი რამ იყო ეს ოთხ-თვლიანი ეტლი, რომელიც პაპაჩემის მამას ვიღაც რუსისათვის გაეკეთებინებინა. იქნება ოდესმე ვარგოდა კიდეც, მაგრამ წარსულ საუკუნეში თუ... (მეცხრამეტე არ გეგონოთ,—მეთვრამეტეს ვგულისხმობ). ახლა კი რაღაც გვერდებ-მოქცეული იყო... თვლები მუდამ უსწორ მასწორად ქანაობდა და ამის გამო ეტლი ისე ირყეოდა, რომ კიდეებს ხელით უნდა გჭეროდა,—თორ გადავარდნილიყავ. ღერძი მრავალ ადგილას იყო დაკერებული სხვადასხვა ოსტატისაგან და მიბრუნ-მობრუნების დროს სულ ჭაჭაჭუჭი გაჰქონდა.

ერთის სიტყვით, არაფრით ჰგავდა იმ ეტლს, რომლითაც წინასწარმეტყველი ელისე ცაში აფრინდა.

ჩვენვე გვყავდა ერთი იაბო ცხენი. ჯეირანა ერქვა სახელად. საიდან გაჩნდა ეს ცხენი ჩვენს ოჯახში, კარგად არავინ იცოდა. ამბობდნენ, რომ ოჯახის საჯინიბოსიაო. გამოტეხილი უნდა ვთქვა, რომ ჩემს დროს იმ საჯინიბოს მხოლოდ ის კურთხეული ჯეირანა-ღა ამშვენებდა.

ჯეირანა ერთი ვაი-ვაგლახობის ცხენი იყო. ამ პატიოსან პირუტყვთა შორის ჩემს სიცოცხლეში ჯეირანასთანა მეორე არ მინახავს და ახლა იმ დასკვნას ვადგევარ, რომ ჯეირანას სისხლში უეჭველად ჯორის სისხლი ერია. შესახედაობით ნეტარ ხსენებულის დონ-კიხოტის ბედაურსა ჰგავდა. ერთი ახმახი იყო, ბებრეკი, სახსრებში ძვლებ-ამოჩრილი. რამდენიც უნდა გეჭმევინა, მაინც არა სუქდებოდა. ხასიათით—ზანტზე-უზანტესი იყო, ფეხებს ძლივს დაათრევდა და, ზაფხულში ბუზებს დაჩვეული, ზამთარშიაც კუდსა და თავს განუწყვეტლივ აქნევდა ხოლმე. არც შოლტი, არც კეტი,—რომელიც ყოველთვის და გვქონდა—არ გვშველოდა,—ფეხს ვერ გაეჩქარებინებდით ხოლმე. და, თუ ქეიფზე არ იყო, ადგილიდან ვერ დაძრავდით, ისეთი გაქირი იცოდა.

ხომ შეგიძლიან წარმოიდგინო, მკითხველო, ჩვენი მდგომარეობა, როცა იმ ეტლში ჯეირანა ება ხოლმე და ჩვენც შიგ ვისხედით?!. ყოველ დღე ერთვაი-უშველებელი იყო ჩვენს სახლში, რადგანაც დღე ისე არ გავიდოდა, რომ ეტლით სადმე არ წავსულიყავით: უმცროსები მახლობელ ქალაქის სასწავლებელში დავყავდით ამ ეტლით და უფროსები—იმავე ქალაქში, ან სხვა-[illegible]

ქალაქამდე სულ სამი ვერსი იყო და თავის დროზე რომ სასწავლებელში მივსულიყავით, სახლიდან ასამის საათით ადრე გამოვდიოდით. გამოგვეცილებოდა თუ არა ჯეირანა ეზოს და შარა-გზას გაუდგებოდა, შენი მტერი!.. დაიწყებდა მიღრეც-მოღრეცით უნდილ ჩაქჩაქს, ყურების ბერტყას და ფრუტუნს, თითქოს ჩვენ გვაფურთხებდა.

ხან კიდევ მიგვიყვანდა ხოლმე კლდის პირად და ერთბაშად გაჩერდებოდა. აბა, ერთი გაგებედნათ შოლტის ან კეტის ხმარება? ისეთ მამა-პაპურ ტლინკებს შეჰყრიდა, ისეთს ფხაკურს დაიწყებდა „თელეჟკის“ ხელნებ-შუა, რომ უფსკრულში გადაჩეხას წინ არა ედგა-რა. ტლინკები იცოდა ჯეირანამ,—ტლინკები, რომ ღმერთმა შეარცხვინოს კაი ბუქნით ჩამოვლა კინტაურში!.. როგორღაც უკანა ფეხებზე ჩაცუცქდებოდა ხოლმე, თითქოს გავაზე დაცემას აპირებსო და ერთბაშად აიქნევდა წიხლებს.

ხალხში ამბობდნენ, ჯეირანას მამაც და პაპაც ასეთი გაქირიანი იყოო. ზოგნი კი იმასაც უმატებდნენ, რომ ჯეირანაც და იმისი წინაპარნიც იმ ეტლმა გარყვნა: გააგაქირავა და გააფუჭაო.

მამაჩემს ეტლიც და ჯეირანაც ძალიან უყვარდა. მუდამ ამას გაიძახოდა: „ეკიპაჟი“ მამაპაპათაგან არის ნაანდერძევი, ყოველთვის ამით გვივლია, ღვთის შეწევნით არა დაგვმართნიათა და კვლავ მითივე უნდა ვიაროთო. ჯეირანაზედაც ამასვე ამბობდა: ჩვენი ოჯახის ნაამაგარი ცხენია და ხასიათითაც არა უშავსრაო... რა ვუყოთ, რომ ცოტათი გაქირი იცისო... განა რომელმა ცხენმა არ იცის გაქირი და ტლინკებიო. მაგრამ ნამდვილად კი აი, სად იყო ძაღლის თავი დამარხული: თითონ მამაჩემი სულ სახლში იჯდა, არსად დადიოდა და ამიტომ თავის თავზე როდი სცდიდა იმ ეტლის უვარგისობას და ჯეირანას ტლინკებს. ჩვენი მდგომარეობა კი აინუნში არ მოჰქონდა. თითოეული ჩვენი იერიში მამიჩემის მიმართ ეტლისა და ჯეირანას გამო იმითი თავდებოდა, რომ ეტლს აქაიქ აკერებდნენ და ჯეირანას კი ჯერს უმატებდნენ ხოლმე—კარგა გასწევსო.

ბოლოს და ბოლოს, რაკი მამაჩემი ვერას გზით ვერ დავიყაბულეთ, რომ ეტლი და ჯეირანა სრულიად გამოეცვალა, გადავწყვიტეთ, ეტლში აღარ ჩავჯდარიყავით; ზოგჯერ ფეხით დავდიოდით, ხან სხვისგან ვქირაობდით ცხენსა თუ ეტლსა და, ჯერ-ჯერობით, ასე იოლად მივდიოდით. თანდათან რომ საქმე გაგვიჭირდა, ავდექით და ეტლს ფუქება დავუწყეთ: ადგილ-ადგილ ფერსოები ამოვაცალეთ, ღერძი დავუზიანეთ და, ამითაც რომ ვერას გავხდით, ჯეირანას კუდი მოვაჭრით. [illegible] მეტის-მეტი [illegible] თვალნათლივად ხედავდა, რომ ფონს ვერ გავიდოდა და ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ახალი ეტლი იყიდა. სახელად „ფაიტონი“ ერქვა. და იძახდნენ ახალიაო, მაგრამ ეტყობოდა უკვე ნახმარი იყო... მაინც არა უჭირდა-რა.

დიდი დღესასწაული იყო ამის გამო ჩვენს ოჯახში. ეტლი სახლში სხვის ცხენებით მოგვიტანეს და სალიტანიოთ მეორე დღე დავნიშნეთ. გამოიყვანეს ჩვენი კუდა-ჯეირანა და მიიყვანეს ეტლთან. ეტლი რომ დაინახა, როგორღაც ალმაცერად ახედ-დახედა და ფრუტუნი მორთო. დაუწყეს შებმა. მე მაშინვე შევატყე, რომ ჯეირანა და ეტლი ერთმანეთისათვის არ იყვნენ გაჩენილნი... მაგრამ მთელი ჩვენი ოჯახი აღტაცებაში იყო და მამაჩემი ყელ-მოღერებით გაიძახოდა: არა, ნახეთ და, რა ეტლიაო. არც ახლა მოისვენებთო.

ჯეირანა ეტლში შეაბეს.

მოსართავ-მოსაკაზმავები როგორღაც ევიწროვებოდა, როგორღაც იჩმუჩნებოდა, ფეხები უკანკალებდა და ხაო აშლილი ჰქონდა. ძალიან საეჭვო იყო მისი ყურების ბარტყუნი და ხანდახან ვერაგული ფეხის აწევა, თითქოს ეტლს წიხლის კვრას უპირებდა... მაგრამ საერთო აღტყინების დროს, ალბად, ვერავინ შენიშნა. აი, ჩავსხედით კიდეც და ეტლი დაიძრა. ეტლი კარგად მიგოგავდა, მაგრამ ჯეირანამ თავისი ძველი ხასიათი მაინც გამოიჩინა: ხან აქეთ იბრუნა პირი, ხან იქით, ბოლოს ეტლის უბე ისე მოღრიჯა, რომ ეტლი გადაყირავდა... თანაც მოჰყვა ტლინკების სროლას, თავისებურად ჩაცუცქ-ამოცუცქებას, ხელნებ შუა ფხაკურს და ეტლი... გადააბრუნა.

ზოგს თავი გაგვიტყდა, ზოგს ხელი გვეღრძო და, ვინ იცის, რა არ დაგვემართა.

მამაჩემი შორიდან გვიყურებდა და ხელების გასავსავებით იძახდა:

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო!.. თქვენ რომ ეტლში ჯდომა არ იცოდეთ, ჩემი და ჯეირანასი რა ბრალიაო.

თუ არ დაიზარე, მკითხველო, და ეს პაწია ნაწერი, ბოლომდის ჩაიკითხე, მე მგონია, დამეთანხმები, რომ აღწერილი ამბავი ძალიანა ჰგავს რუსეთის ახლანდელს ვითარებას და ჩემთან ერთად იტყვი, რომ ახალ ფაიტონს—კანონს, ახალივე ჯეირანა—აღმასრულებელი უნდა, თორემ ძველი ჯეირანები კვლავ სადმე გადაგვჩეხავენ.

ინენ

წერილი ძმა[illegible]

„[illegible] თედო! დღეს მივიღე შენი წერილი. გეტყობა, ძალიან შეშინებული ხარ! გეფიქრება, მეც არ მომხვდეს რომელიმე ხულიგანის დაუნდობელი ტყვია და წუთი-სოფელს არ გამომასალმოს. [illegible], როგორმე სოფლად ამოვიდე და მანდ სადმე თავი შევაფარო.

სხვა დრო და გარემოება რომ იყოს, სასაცილოთაც არ მეყოფოდა შენი წერილი, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, მეც შევფიქრიანდი.

სიკვდილი შავი და ბნელი, სიკვდილი იმ დროს, როდესაც ხალხი თავისუფლების კარებამდე მივიდა, მართლა სიკვდილი კი არ არის, ეს ბედის დაცინვაა, დღესასწაულია იმ მტარვალებისა, რომელთაც ხალხი დღემდე დაბორკილი ჰყავდათ და თავის ნებაზე სტანჯავდნენ.

არა, მეც არ მინდა სიკვდილი! მე მინდა ვიცოცხლო იქამდე მაინც, რომ ვნახო ხალხის მტანჯველთა დამცირება, ვნახო მათი თითის მოკაკვა, ვნახო მათი მიწაზე ფორთხვა, ვნახო მათი გათახსირება! ოჰ, ნეტა იმას, ვინც ამ ბედნიერ დღეს მოესწრობა!!

მახსოვს, და ან კი როგორ არ მეხსომება, როდესაც მთელი ჩემი სიცოცხლე, გულში ბოღმა-დაგუბებული შევყურებდი მთავრობას, მის ხელქვეითთ, და ყოველ ფეხის გადადგმაზე ვისმენდი ჩემის, ჩემის ერის, ჩემის ხალხის დამამცირებელ სიტყვებს, ვხედავდი მათ-მიერ ხალხის დასატანჯავად ჩადენილ საქმეებს, ვგრძნობდი, რომ თითოეული მათი ამოსუნთქვა, თითოეული მათი ხელის გაქნევა, თითოეული შემოხედვა კი აღსავსე იყო ჩვენის ხალხისადმი ზიზღით, შურით, ძალმომრეობით, მტარვალობით, მათი დანიშნულება იყო წაერთმია ჩვენთვის თავისუფლება, აზრი, ჭკუა, ენა, ადამიანური ნიშან წყალი, ვყავდნეთ საკუთარ ნებას მოკლებულ მონად, გავედევნეთ სიბი-ქვეყნით და გარდავექციეთ ორფეხა მანქანად.

სკოლა, ლიტერატურა, თავისუფლება, გულისთქმა, სულთა-სწრაფვა, მიმართულება, ზნე, ჩვეულება, ხასიათი, სინიდისი—ყველაფერი შეგვიბილწეს, დაგვიკნინეს, შეგვიგინეს. ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნოდით, და ეს მით უფრო დამტანჯავი იყო, რომ კარგად გრძნობდით ასეთ ჩვენს გათახსირებას, მაგრამ მაინც იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეხარა ჩვენის ბატონის წინაშე და მისის ნასუფრალით გამოვკვებულიყავით.

ახლა კი? ოჰ, ნეტარებავ! მთელის ქვეყნის სასოწარკვეთილმა ოხვრამ, მთელის სახელმწიფოს დატანჯულთა ამოკვნესამ თავზარი დასცა, დაარეტიანა ჩვენი „ბატონები“... ნუ გეშინიან! უკანასკნელად-ღა იბრძვიან ბნელი ძალები.

სამსახურიდან გადამდგარი ჯაშუშები, შუქთა-ხოგაპანწურების [illegible], გამოთრობილი და დარეტიანებული ჯარის კაცები ვეღარას გააწყობენ გაღვიძებულ ხალხთან.

დიაღ, დიდი შიშიანობაა, დიდი! ლეკიანობასაც არა უთქვიდა ასეთი ამბები. გარედ რომ გამოდიხარ, არ [illegible] ზიხარ, თავს დასხმას მოელი, მაგრამ აქედან წამოსვლა მაინც არ მინდა!

შენ თვითონ ჩამოდი აქ. წამოიყვანე მთელი ქვეყანა, წამოიყვანე ბავშვებიც... რას უზიხარ მანდ, რას?..

ეს არის ჩემი პასუხი და, თუ წინადგრძნობა გამიმართლდა და რომელიმე ტყვიამ მიმსხვერპლა, შენ (თუ მაინც ცოცხალი დარჩი)—მიდი ხალხის ძლიერებისაგან დამარცხებულ მტარვალთან და ჩემ მაგივრად სილა შემოჰკარ.

საიქიოს,—ტარტაროზის კლანჭებშიაც რომ ვიყო, გულიანად გადვიხარხარებ და მთელის ჩემის დატანჯულის არსებით დავიყვირებ:

„გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს იმ მებრძოლთ, რომელთაც მოსპეს მონობა და ქვეყნად თავისუფლება დაამყარეს“!!.

ია ეკალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ თავი აიწიეს ყველა რეაქციონურ ძალებმა და ასტეხეს კონტრ-რევოლუცია, რათა კვლავ წამოაყენონ და გაამაგრონ თვითმპყრობელობა; რომ იგი, რეაქცია, ადგენს სრულიად დაბრმავებულ და გათახსირებულ ელემენტებისაგან ხულიგანურ რაზმებს ხალხის ამოსაწყვეტად, ერთის ერის მეორისაგან გასაწყვეტად, და მით საბოლოოდ უნდა დასცეს რევოლუციონური მოძრაობა; მიტინგი აუცილებლად სცნობს ენერგიული ბრძოლა გამოუცხადოს კონტრ-რევოლუციას, რათა უზრუნველჰყოს უკვე მოპოვებულ თავისუფლების განხორციელება და გაწმენდილ იქმნას ნიადაგი შემდეგის ბრძოლისათვის. ამ მიზნით, მიტინგი საჭიროდა სცნობს: 1) დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქმნენ და სამართალში მიცემული ყველა ის ადმინისტრატორები, რომელნიც ეწევიან კონტრ-რევოლუციის ორგანიზაციას; 2) რაც შეიძლება, მალე მიღებულ იქმნას ყველა ზომები სახალხო დრუჟინების შესადგენად კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

მეორე. „რადგან გურიის მოძრაობა თავის ხასიათითა და მიზნით არაფრით არ განსხვავდება დანარჩენ დემოკრატიულ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან, სახალხო მიტინგი პროტესტს უცხადებს მთავრობას იმ აგრესიულ პოლიტიკისთვის, რომელსაც ის ხმარობს გურიის წინააღმდეგ და რომლითაც მიზნად აქვს დაამახინჯოს გურიის მოძრაობის მნიშვნელობა, რომ მით უფრო ადვილად შემუსროს სამხედრო ძალით რევოლუციონური მოძრაობა გურიაში. მიტინგი მოითხოვს, დაუყოვნებლივ გამოყვანილ იქმნას გურიიდან ჯარი და კაზაკები. თუ მთავრობა მაინც კიდევ გადასწყვეტს გურიის განადგურებას, მიტინგი აცხადებს, რომ ყველანი, დღეს აქ შეკრებილნი, მიიღებენ ყოველგვარ ზომებს კავკასიის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად და მათი, ხელმძღვანელობით ფართო და აქტიურ რევოლუციონურ მოქმედების გზაზე გამოიყვანონ ხალხი ქალაქებსა და სოფლებში მთავრობის რეაქციონურ ძალასთან უფრო დიდის, რევოლუციონურ ძალის დასაპირდაპირებლად“.

ორივე ეს რეზოლუცია ერთხმად და ტაშის ცემით იქმნა მიღებული ხალხისაგან.

დასასრულ ხაგანგებო ხორომ იგალობა „უკანასკნელი სალამი თავისუფლებისათვის დახოცილ მებრძოლთადმი!“ შემდეგ შეასრულა მუშათა მარსელიეზა, მერე დიდ რევოლუციის მარსელიეზა, და ბოლოს პროლეტარიატის საერთაშორისო ჰიმნი „ინტერნაციონალი“. ყველა ამ სიმღერა-გალობაზე ხალხი იდგა ქუდ-მოხდილი და შეპყრობილი, გათანგული რევოლუციონურ ხმებით. [illegible] მშვიდობიანად. არსად არ გამოჩენილა არც [illegible]გუნი, არც პოლიციელი და წესიერებაც არ დარღვეულა.

ლ. დ.

პოლონეთის ავტონომია

(ოფიციალური განცხადება, სააგენტოს დეპეშა)

მთავრობის ცნობა. უმაღლესის ბრძანებით, უმართებულეს სენატისადმი 1904 წლის 12 ოქტომბრის თარიღით ნაჩვენები იყო გზები რუსეთის ქვეშევრდომთა მოქალაქეობრივ უფლებების თანდათანობითა და ძირითადად განსა[illegible]ლად. ამის აღსასრულებლად მთავრობის მი[illegible] მიღებული ღონისძიებანი შეეხო აგრეთვე პოლონელებსაც. მთავრობამ განიზრახა გაუქმება განსაკუთრებულ კანონებისა, რომელნიც ავიწროვებდა პოლონელთა თავისუფალ განვითარებას, და მოისურვა მათი უფლებრივი გათანასწორება რუსეთის იმპერიის დანარჩენს მცხოვრებლებთან. ამ განზრახვათა [illegible] შედეგი იყო 17 აპრილის უმაღლესი ბრძანება შესახებ რწმენის თავისუფლებისა და 6 ივნისის დებულება მინისტრთა კომიტეტისა, რომელშიაც ნაჩვენებია პოლონეთის [illegible] სასკოლო, საერობო, საქალაქო და სამოსამართლო რეფორმები. პოლონეთს მიენიჭა აგრეთვე კრებების თავისუფლება და სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. დასასრულ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით პოლონელები, ნებისამებრ ხე[illegible] თავისუფლად არჩეულნი იქმნენ სრულ-უფლებიან[illegible]ლებს მიეცათ შეძლება, [illegible]იდან პოლონე[illegible] მზად არიან დანარჩენ ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ფართო საზოგადო მუშაობაში. ამით პოლონეთი მიაღწევდა მიზანს [illegible] არის თანდათანობით განავითარებდა საარჩევნო დაწესებულების დახმარებით, რომელიც, ეჭვი არაა, მთელი ხალხი სახელმწიფოს მზრუნველობისა და სარგებლობის მოტანის გარდა, თანაგრძნობით მოეკიდებოდა პოლონეთსაც. მაგრამ, ეტყობა, პოლონელმა მოღვაწეებმა, რომლებიც დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობას თავში უდგანან, თავისი წარსულის მძიმე გაკვეთილები დაივიწყეს და მოქმედებენ იმ გვარად, რომ ერთის მხრივ განსაცდელში აგდებენ პოლონელებს და მეორეს მხრივ რუსეთის მიმართ თავხედობას იჩენენ იმით, რომ უნდათ რუსეთს სრულიად ჩამოშორდნენ, არ უნდათ რუსებთან ერთად იმოღვაწეონ სახელმწიფო საბჭოში და სხვადასხვა კრებებზე დღევანდელ რეზოლუციებში თხოულობენ პოლონეთის სრულ ავტონომიას საგანგებო კონსტიტუციონალურ სეიმით. ამ გვარი [illegible] აქვს ორს [illegible] ერთმანეთის მოწინააღმდეგე [illegible]. ამ გვარად მოქმედებენ ზოგიერთი პოლონელი მწერალ-პუბლიცისტი და ხალხის ორატორები. სხვადასხვა ქალაქებში იმართება ქუჩის მანიფესტაციები პოლონურ ბაირაღებით და პოლონურ სარევოლუციო ჰიმნების სიმღერებით. ამასთან ერთად პოლონელებმა ძალით განდევნეს მთავრობის დაწესებულებებიდანაც კი სახელმწიფო ენა, რაც კანონით არის დადგენილი. ზოგიერთ ადგილებში მუშები და გლეხები ანადგურებენ სკოლებს, სახაზინო ღვინის დუქნებს და გმინების სამმართველოებს და სპობენ რუსულ ენაზე დაწერილ ქაღალდებს. ადგილობრივ მთავრობის ბევრი წარმომადგენელი, რომელიც მედგრად იცავდა წესიერებას და საზოგადო მშვიდობიანობას, პოლიტიკურ ბოროტმოქმედების მსხვერპლად გახდა. პოლონეთის საზოგადოების შეგნებული ნაწილი უძლურია სარევოლუციო ორგანიზაციების მოქმედების წინაშე მთავრობა ვერ აიტანს სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევის განზრახვას. რადგანაც პოლონელებმა ამბოხება განიზრახეს და ამ გვარად მოქმედობენ კიდეც, მთავრობა იძულებულია გამოაცხადოს, რომ, სანამ ვისლის მხარეში აჯანყება არ ჩაქრება, სანამ ის ნაწილი მცხოვრებლებისა, რომელიც პოლიტიკურ აგიტატორებს მიემხრო, გონს არ მოვა, მანამდისინ 6 აგვისტოს და 17 ოქტომბრის უმაღლეს მანიფესტების არც ერთი სიკეთე ამ მხარეს არ მიენიჭება. აჯანყებულ მხარეში, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება რეფორმების განხორციელებაზე. ხოლო წესიერების აღსადგენად ვისლის მხარეში დროებით სამხედრო წესებია გამოცხადებული. ამგვარად პოლონელ ხალხის მომავალი თვით ხალხზეა დამოკიდებული. მთავრობა კი, რომელსაც მხედველობაში აქვს შემდეგშიაც დაიცვას პოლონეთის ხალხის ეროვნულ უფლებების ხელშეუხლებლობა, მოუცდის პოლონეთის სამეფოს მცხოვრებთა პოლიტიკურად გამოფხიზლებას და ამასთან აფრთხილებს, ნუ ივლის იმ საშიშ გზაზე, რომელსაც ის, სამწუხაროდ, პირველად არ ადგება.

მთავრობა და ხალხის დარბევა.

(მთავრობის განკარგულება, სააგენტო დეპეშიდან).

აწ არსებულ უწესოებათა გამო, არა ერთხელ შემოუტანიათ საჩივარი, რომ ყველა ეს ხელოვნურადაა მოწყობილი, ადმინისტრაცია მხარს უჭერს და ხალხს ძალად აღელვებსო. მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ცენტრალურ დაწესებულებათა ყველა განკარგულებებს მარტო ერთად-ერთი მიზანი აქვთ—ხალხში წესიერებისა და სიმშვიდის დამყარება. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოადგენენ უტყუარ საბუთებს ამისას, რომ პოლიციის მოხელენი მართლა აქეზებენ და ხელს უწყობდნენ ბრბოს სხვის პიროვნებას შებღალვასა და ქონებრივად დარბევის საქმეში, მთავრობა სასტიკ გამოძიებას მოახდენს და სასტიკ ზომებს მიიღებს, რომ ამგვარი საქმე აღარ განმეორდეს. ესეც რომ არ იყოს, ახლა ისეთი ამბები [illegible] ანგარიში გაუწიოს თავისთავს. თუნდა ადმინისტრაციაზე ბრალი მართალიც იყოს და წარმოვიდგინოთ, რომ ადმინისტრაცია გზა თუ ის მოხელე ხელს უწყობდა არეულობას, მაინც ყოვლად შეუძლებელია მთელი [illegible] მათ დასდოთ ბრალი ამ უწესოებაში, რომელიც მთელ რუსეთს მოედო. ყველგან ერთი და იგივე ამბები ხდება, ერთისა და იმავე მოულოდნელობით, ერთისა და იმავე სიძლიერით. ეს ამბები გვაფიქრებინებს, რომ უწესოებათა, შიშისა, გაფიცვებისა, გამოდაღალული ხალხი, რომელიც მშვიდ ცხოვრებას 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგაც ვერ ეღირსება, ძალზე გაბოროტებულია და ამიტომ ხდება ასეთი საშინელი უწესოებანი. ყველა აღძრულ საკითხების გადაწყვეტა—გარჩევას მთავრობა, თავსს მოვალეობისამებრ, მიუდგომლად მოეკიდება და ყველას, ვინც კი საჭიროებს, დახმარებასა და მფარველობა გაუწევს. მაგრამ თითოეულ მკვიდრთაგანისთვისაც თვალსაჩინო უნდა იყოს, რა განსაცდელი მოსდევს ამ უწესოებათა განმეორებას. მოქალაქობრივ თავისუფლების საფუძველია: პატივისცემა მეორის პიროვნების უფლებათა, კუთვნილებათა და სიცოცხლისა, ხოლო იმ ხალხს რომელსაც ეს არ ესმის, მოქალაქობრივი თავისუფლებაც ვერ გამოადგება და, თუმცა მთავრობამ პრინციპიალურად მიანიჭა ეს თავისუფლება, შეიძლება ცხოვრებაში იგი განუხორციელებელი დარჩეს. აგრეთვე უკიდურეს პარტიათა მტრული მოპყრობაც მთავრობას ხელს შეუშლის განზრახულ რეფორმათა განხორციელებაში. მაგრამ მთავრობას აზრადაც არ მოს[illegible] თვალსაჩინო [illegible] ან რომელიმე მის სიერებას ერჩივნოს და საურთიერთო [illegible]—მშვიდობიანობასა და უფლებრივ განვითარებას. ამიტომ ახლად დაარსებული მინისტრთა საბჭო ყოველის თავისის ძალღონით ეცდება განახორციელოს ნება ხელმწიფისა და ყველა იმას, ვისაც კი ჰსურს განხორციელება ხელმწიფის მანიფესტში გამოთქმულ რეფორმებისა, ისეთი გარემოებანი უნდა შექმნას, რომ წესიერი მუშაობის დაწყება შეიძლებოდეს.

მოწოდება უწმინდესისა სინოდისა სრულიად-რუსეთის მართლმადიდებელ სამწყსოისადმი.

(სააგენტოს დეპეშა)

ამა 45 წლის წინად, 1861 წლის 19 თებერვალსა, ნებითა უთვითმპყრობელესისა მეფისა—განმათავისუფლებელისა დაემხო მძიმე უღელი ხალხისა ბატონყმობა. დიდის სასოებითა [illegible] გლეხმან, აღავლინა უუმხურვალესი ლოცვა მეფისათვის და მიიღო ჯილდო ესე სიყვარულითა და სათნოებითა, აწცა მანიფესტითა 17 ამა ოქტომბრისათა, ხელმწიფემ უმოწყალესად [illegible] სასურველ ჟამს გამოცხადება ნებისა თვისისა, და მკვიდრთა ამათ ჩვენთა უწყალობა თავისუფლება მოქალაქობრივი და სასულიერო: თავისუფლება სინიდისისა, თავისუფლება სიტყვისა, თავისუფლება ყოველთა მათ კავშირთა და მოყვასთა ურთიერთობისა, რათა ვმოქმედობდეთ მშვიდობით ღვაწლსა სიყვარულისასა და ვმსახურებდეთ სამშობლოსა ჩვენსა. დიდ არს ჯილდო ესე, რომელიც მიენიჭებს ხალხსა თანდათანობითა აღსრულებათა სათანადო მთავრობისაგან, ნებისაებრ მეფისა. მიიღეთმცა ჯილდო ესე ლოცვითა სიხარულისათა და ჰმადლობდეთცა უფალსა, მომნიჭებელსა ყოველთა სიკეთეთა. მოწყალება დიდისა ხელმწიფისა ჩვენისა არა განისაზღვრების ამა ჯილდოთი. რათა მწუხარება და ურვანი ჩვენნი აღუვლინოს წინაშე ტახტისა მისისა, მან კეთილ ინება მოწოდებად თვით ხალხისა კეთილ არჩეულთა რომელნიცა უშიშრად მოახსენებენ მას ყოველსა სიმართლესა შესახებ თვისისა ქვეყანისა და, ვიდრე იგი, ხელმწიფე ჩვენი, კეთილ ინებებდეს გამოცემასა რომელისამე კანონისასა, კანონმდებლობითი განზრახვა მისი განხილულ იქმნება რჩეულთაგან ხალხისათა. ყურად იღებდა რა რუდუნებასა ხალხისასა მმართველთაგან არა ერთის გზით ჩადენილსა საქმეთა გამო, ყოვლად მოწყალე თვითმპყრობელმა ბრძანა მიენიჭოს თავისუფლება ხალხსაცა და ამორჩეულთა მის მიერ მიეცეს უფლება აღავლინოს ტახტისადმი გაჭირვებანი ხალხისა და შეძლებისდაგვარად მეთვალყურეობა გაუწიოს მმართველთა მოქმედებასა, მოითხოვონ [illegible], გინა ითხოვონ ახალი ცხოველმყოფელი დაკანონება. არა უგულებელ ჰყოფს მეფე თავსა თვისსა და ვერცა განერიდება იგი ხალხსა თვისსა. იგი მარადის ყოფილა და, მპყრობელი რუსეთის იღბალისა და აწცა მისის უმაღლესისა ნებითა დაკანონდებიან ყოველივე უფლებანი ხალხისანი. ვითარცა მამა იგი ზრუნავს შვილთა ზედა თვისთა, აგრეთვე ხელმწიფემან უახლოვესის ჰყო ხალხი ტახტთან და მეფური საქმე თვისი მათ განუზიარა. ეკკლესიასა შინა ქრისტესსა ყველანი თავისუფალ ვართ, ვითარცა შვილნი ერთისა მამისა—ღვთისა. გარნა სხვა არს სამეუფო მოქალაქობრივი, ვინაიდან კანონნი იგი გამოიცემიან შეთანხმებულად ხალხისა ზრდისა და სიმწიფისა. ჯერ არს ხალხი იგი იმყოფებოდეს მზრუნველობასა და დამოკიდებულებასა ქვეშე, ჯერ არს მიენიჭებოდეს მას რომელიმე სივრცე თავისუფლებისა. ესევე ხდების ოჯახსა შინა: ვიდრე ბავშვი ნორჩ და უგნურ არს, მამა მისი ასწავებს და სჯის მას, ხოლო, როცა იზრდება ბავშვი და ეძლევა მას ძალნი ჭაბუკისა, მამა ხსნის მას უღელსა სიუმწიფოს მონობისასა და რათა მიენიჭოს განვითარება სულიერთა ძალთა, დაჭაბუკებულს უთანასწორებს სრულ წლოვანთა ძმათა მისთა. ეგრეცა ხალხი რუსეთისა,—ვითარ რომელიმე [illegible] ღვთისა, იზრდებოდა თანდათანობითა და მომწიფდა მოსამკალად და აჰა, ნებითა ხელმწიფისათა უმოწყალესად სახელდებულ იქმნა თავისუფალ კაცად, იმ იმედით, რომ მიიღებს რა სასოებით უმაღლეს ჯილდოსა, ღირსეულ იქმნების უმაღლესის მოწყალებისა. უგულებელ ჰყავით, ვითარ ვეძლევით განსაცდელს. ვიყვეთმცა ღირსნი, ძმანო, უმაღლესისა ნდობისა, მონიჭებულ[illegible] [illegible] თავისუფლება არა თავისუფლებად აღრეულობისა და ძმათა სისხლის ღვრისა, არამედ თავისუფლებად მშვიდობისა და სიყვარულისა არა მარტო ჩვენთა მეგობართა და ქრისტეს მიერ ძმათა მიმართ, არამედ იმათთადმი, რომელნიცა არა არს განათლებულ წმინდითა სარწმუნოებითა ჩვენითა. ჰხედავთ, ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო,—გული მეფისა იმყოფების ღმერთისა და ყოვლად ძლიერი განაგებს საქმეთა მისთა და მოვალე ხართ დაემორჩილოთ მეფესა არა მარტო შიშითა, არამედ სინიდისისაებრ შინაგან ცოდვილ არს იგი, ვინცა აღრეულობითა და ძალმომრეობითი [illegible] სამსახურს მეფისასა, ვინაიდან ამგვარნი საქმენი განაძლიერებენ [illegible] და [illegible] მტერთა მისთა. მართლმადიდებელი, ხელმწიფე რუსეთისა დიდებულ და ძლიერ არს [illegible] მთავრობის შეწევნითა, მას ძალუძს დამხობა და დასჯა გარდამავალთა კანონისათა. გევედრებით შენ, უფალო, იხსენ და შეიწყალე ქვეყანა ჩვენი, შენ, რომელმაცა აღმოსთქვა „სდუმდითა“ და ბრძანე „შეწყდით“ დაცხრა მღელვარება მეამბოხეთა. უმოწყალესის ხელმწიფისა ჩვენისა მიანიჭე [illegible] და ძალა შესრულებისა დიდი საქმე ხალხთა ცხოვრების მოწყობისა“. ამინ!

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

30 ოქტომბერი.

ჰელსინგფორსი, 28. ის ცნობა „ვითომ [illegible], რომელიც გემ „[illegible]“-ით პეტერბურგს მიდიოდა, გემზე ნიულანდის გუბერნატორი არ მიიღოთ, სრულებით უსაფუძვლოა. ნიულანდის გუბერნატორს წასვლა არსად არ დაუპირებია.

[illegible]ნლანდიის გენერალ-გუბერნატორი თავადი [illegible] ნავთსადგურის [illegible]. აქ გენერალ-გუბერნატორი იღებს მოხსენებებს და [illegible] დეპუტატებს, რომლებიც მოდიან და ფინლანდიის ხალხის მადლობას უცხადებენ ხელმწიფის მანიფესტის გამო. თავადი თავის ოჯახობით დამეებს ჯავშნოსან „სლავა“-ზე ატარებს, რადგან ნავთსადგურის შენობაში საკმაო ადგილი არ არის.

ეკატერინოსლავი, 29. შიშით მოცული ხალხი ქალაქიდან გარბის. მატარებლები ყოველთვის გაჭედილია. ორი კვირაა, ქალაქში არაფერი შემოდის. ყველაფერი მეტად გაძვირდა.

მოსკოვი, 28. სტამბების პატრონებმა უარჰყვეს გამომცემელთა კავშირის წინადადება, რომ პრესის თავისუფლება დაუყოვნებლივ განახორციელონ.

კიევი, 29. პოლიტექნიკუმის ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა ლექციების კითხვა დაიწყოს.

კრონშტადტი, 28. გამოცხადებულია სამხედრო წესები. გარეთ გამოსვლა მხოლოდ საღამოს 7 საათამდე შეიძლება. ქუჩებში ცეცხლი ანთია და ჯარის კაცები ზედ თბებიან. ნიკოლაევის პროსპექტზე სდგას 6 ტყვიის-მფრქვეველი და დიდი ცხენოსანი რაზმები. ბევრს აპატიმრებენ. ქალაქი დამშვიდდა.

პეტერბურგი. უმაღლესი უქაზი უმართებულეს სენატს: საზოგადო მშვიდობიანობისა და ვისლის მხარეში უწესოების მოსასპობად, ჩვენ საჭიროდ ვსცანით: 1) შემოღებულ იქმნას სამხედრო წესები ვისლის მხარის 10 გუბერნიაში, ვარშავისა და ლოძის ქალაქების გარდა, სადაც ეს წესები დიდი ხნია შემოღებულია. 2) ვარშავის გენერალ-გუბერნატორს მიეცეს ის უფლებანი, რომელიც ეძლევა იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული. 3) ნება მიეცეს ვარშავის გენერალ-გუბერნატორს, გადასცეს თავისი უფლებანი მეორე პირს, ხოლო იმ პირობით, რომ გენერალ-გუბერნატორს შეეძლოს, თუ საჭიროება მოითხოვს, გააუქმოს ხოლმე მისი განკარგულებანი. ნიკოლოზ. პეტერგოფი, 28 ოქტომბერს 1905 წ.

საზღვაო მთავარი შტაბი იუწყება, მომხდარ უწესოების დროს აფიცერთაგანი არავინ დაშავებულა.

„პრავიტელსტ. ვესტნიკი“ იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უკანასკნელ დროს პოლონეთის სხვადასხვა ადგილებიდან მრავალი განცხადება მოსდის, სადაც პოლონეთის სრულ ავტონომიას თხოულობენ.

როგორც ამბობენ, კრონშტადტის ნავთსადგურის უფროსმა, ვიცე-ადმირალმა ნიკონოვმა, სამსახურიდან გადაყენების თხოვნა შეიტანა.

კიშინევი, 29. კიშინევში მცხოვრები მრავალი ებრაელი საზღვარ-გარედ მიდის.

ლონდონი, 29. გაზეთი „სტანდარტი“ ამბობს: „ვერ გაგვიგია, ვიტტემ რატომ არ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ საზღვარ გარედ საზოგადო აზრი მას მხარს ძალიან უჭერდა. გრაფი ვიტტე ისეთი კაცია, რომელიც მიზნისკენ მედგრად მიიწევს. იმან გამოიჩინა უფრო მეტი სიმამაცე, ვიდრე ყველა დანარჩენმა რუსეთმა ერთად. თუ ვიტტემ თანამდებობას თავი გაანება, რუსეთში ანარქია ჩამოვარდება. თუ პარტია ზომიერებისა არ მიიღებს რეალურ კომპრომისს მთავრობასთან, რუსეთში დროებით უნდა გამეფდეს სამხედრო დიქტატურა. ხოლო გამოვა ის, რომ რუსეთში გერმანიის იმპერატორი გახდება კონტინენტის დიქტატორი. ამის ერთი ერთი შედეგი იქნება ის, რომ ვილჰელმი ვარშავაში შევა.

პეტერბურგი, 29. ქალაქში მშვიდობიანობაა. ერთ-ერთ სამოსამართლო პალატის პროკურორმა იუსტიციის მინისტრთან საკითხი აღძრა, რომ იმ ადგილებში, სადაც განადგურება და დარბევა მოხდა, რევიზიები დაინიშნოს. გრაფმა ვიტტემ მოიწონა ეს წინადადება. ამჟამად სამინისტროში სათანადო პროექტი მზადდება და მინისტრთა საბჭოს წარედგინება.

მოსკოვი, 29. გუჩკოვი და შიპოვი კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ ახალ პარტიას ადგენენ. ეს პარტია 17 ოქტომბრის მანიფესტის ბაირაღის ქვეშ ედგება განახორციელოს მანიფესტის მიერ გამოცხადებული თავისუფლებანი.

კალიში, 29. კალიშის რკინის გზაზე მუშების გაფიცვა დიდ ზარალს აძლევს მთავრობას. გენერალ-გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა, რომ რკინის გზაზე გაფიცულთა მაგიერ საპიონერები ჩააყენონ. გუშინ სახალხო [illegible] პოლონეთის ავტონომიას.

პეტერბურგი, 30. სამხედრო სამინისტრომ, უმაღლესად მოწონებითა და ნებადართვით, ჯარის კაცთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შემდეგი ზომები მიიღო: 1) ჯარის კაცთა [illegible] მომატება, 2) გაუმჯობესობა საჭმლისა, 3) მიეცეთ ჯარის კაცთ საპნები და ქვეშაგების საცვლები, საზაფხულო ხალათები, [illegible] და წაღების შესაკეთებლად და გასამშვენებლად მომეტებული ფასი, 4) მიეცეთ საჩაიე და საპონი. შემუშავებულ იქმნება აგრეთვე სამსახურის შემცირების შესახებ საკითხი ჯერ-ჯერობით ერთი წლით, რაც ადრიან შეუმსუბუქებს მცხოვრებთ სამხედრო ბეგრას გადახდას.

ჩერნიგოვი, 30. ჩერნიგოვის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოაცხადეს.

ვარშავა, 30. მცხოვრებნი შეშინებულნი არიან, მოელიან ქალაქის დარბევას. მცხოვრებლებისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი უვლის ქუჩებს სდარაჯობს.

კიევი, 30. დაჭერილია „ნოვაია ჟიზნ“-ის პირველი ნომერი. გამოვიდა „იუჟნაია ნედელია“-ს პირველი ნომერი, გუბერნატორმა დეპეშით ცნობა მიიღო, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით არჩევნები სახელმწიფო საბჭოში დროებით შეჩერდა.

ლონდონი, 30. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი ამბობს, ძალიან ცუდად იქცევიან ლიბერალები, რომელთაც ეშინიათ ხალხში სახელი დაჰკარგონ და იმიტომ გრაფ ვიტტეს მხარს არ უჭერენო. გაზეთის აზრით ეს გარემოება აიძულებს ვიტტეს, რომ რეფორმების შემოღება შეუძლებელია, ხოლო რეაქციონერებს მიზეზს [illegible] გამოიწვევსო.

იურიევი, 30. ჯარების უფროსმა გამოაცხადა, იურიევში მშვიდობიანობის დამყარების გამო, სამოქალაქო მთავრობა წესიერების აღსადგენად ჯარებს აღარ მიმართავსო.

კრემენჩუგი, 30. დღეს სამხედრო წესები ახსნეს.

პეტერბურგი, 30. ის ხმები, ვითომ დღეს ქალაქის განადგურებას აპირებდნენ, არ გამართლდა. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. უწესოება არა მომხდარა. დღეს სადამოზე შესდგება მინისტრთა საბჭოს მეორე კრება, რომელზედაც პრესის დროებით თავისუფლების შესახებ საკითხი უნდა გადასწყდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა ტვერის გუბერნატორად ნამყოფი თავადი ურუსოვი.

პეტერბურგი, 30. დღეს, დილის 6 საათზე ნიკოლაევის ვაგზალზე მოსკოვის მატარებლით მოასვენეს მ. გოლდშტეინის გვამი. 11 საათზე სამგლოვიარო პროცესია ვოლკოვის სასაფლაოსკენ გაემართა. კუბო აფარებული გვირგვინებით შეამკეს. ხალხი ნაკლებად დაესწრო. წარმოთქმულ იქნა ორი მოკლე სიტყვა.

მოსკოვი, 30. სალიტერატურო სამხატვრო წრის წევრთა საგანგებო კრებაზე დაადგინეს, უმაღლესს მანიფესტის სადღესასწაულოდ გადასდონ მოსკოვში თავისუფალ უნივერსიტეტისთვის 16,000 მანეთი, 5,000 მუშათა კომიტეტის სასარგებლოდ და 5,000 ამნისტიის ძალით ციხეებიდან განთავისუფლებულ პოლიტიკურ ტუსაღთა სასარგებლოდ.

მოსკოვი, 30. ის ხმები, ვითომ დღეს მოსკოვში უწესოებანი უნდა მომხდარიყო, არ გამართლდა. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ჟიტომირი, 30. ცხოვრება თავის კალაპოტში დგება. საბჭოში შეტანილია პეტიცია ქალაქის მილიციის დაარსების შესახებ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის სა[illegible], ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), შუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ·24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სა ზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.)

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 (10 ს. 4. წ 1 წ.) [illegible] 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ.)

განცხადებანი

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ.-საქმისა
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგოროშვილის სახლში, ბაღის პირდაპირ, № 5.
ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(20—3)

მიხეილის ქუჩაზე, შიმანსკის აფთიაქის გვერდზე
ისყიდება ბუდკა
სახლის № 68. მსურველმა იქვე უნდა იკითხოს.

მასწავლებელთა საყურადღებოდ.
დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი
ორთოგრაფიული კრებული
პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.
ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.
საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.
მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“.
(20—4)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“. ფრეილინის ქ., № 5